რუსი მესაზღვრეები გილაევს ელიან A3
პანკისის სიღრმეში ბლოკპოსტი გაიხსნა A4
ევროგაერთიანება და ამერიკა სავაჭრო ომის ზღურბლზე B4

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
კვირა, 15 სექტემბერი, 2002 წელი. №105
ფასი 50 თეთრი

# ანტიკრიმინალური ოპერაცია დისკრედიტაციისა და წარმატების ზღვარზე

კობა ლიკლიკაძე

„რადიო თავისუფლება„ სპეციალურად "24 საათისთვის"

*სამი კვირის განმავლობაში პანკისის ხეობის საგუშაგოებზე გადანაწილებულმა მრავალრიცხოვანმა სამხედრო ძალამ 13 სექტემბერს პირველად გამოაჩინა საბრძოლო შემართება და გაუხსნა ცეცხლი ხეობაში დარჩენილ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლებს. მაგრამ ახმეტის მოსახლეობისთვის ეს იმედის მომცემი გაბრძოლება, საქართველოს ძალოვან სამინისტროებში არსებული ორხელისუფლებიანობის გამო, კინაღამ მთელი ანტიკრიმინალური ოპერაციის დისკრედიტაციის დასაწყისად იქცა.*

საქართველოს მოსახლეობა ვერასოდეს გაიგებს იმ ახალგაზრდა ქართველი ოფიცრის გვარს, რომელმაც ჩეჩენ ისა მურადოვს და რუსულ სანომრენიშნიან მანქანაში მსხდომ ორ სხვა შეიარაღებულ პირს, დაუმორჩილებლობის გამო, დუისის პოსტზე ცეცხლი გაუხსნა და აუმღვრევლად მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის ხელძღვანელობას აქტიური ქმედებისთვის კარგი საფუძველი მისცა. ეს მანქანა და მასში მსხდომი მგზავრები ხომ, თითქმის ბოლო მომენტამდე, ყველა პოსტზე თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, ხოლო თავად 23 წლის ისა მურადოვი,

გაგრძელება A3 გვერდზე



ბლოკპოსტი პანკისის ხეობაში. გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## დაუდევრობა თუ პროვოკაცია

### როგორ გაიქცა დაჭრილი ჩეჩენი

სოფიკო ჩხაიძე

ახმეტის რაიონის პოლიციის უფროსის ავთანდილ თურქიაშვილის მიმართ გუშინ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ავთანდილ თურქიაშვილი ურთულესი რაიონის – ახმეტის - პოლიციის უფროსად სულ რაღაც ნახევარი წლის წინ, კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის, ზურაბ ტუშურის წარდგინებით დაინიშნა. გუშინწინ ღამით კი შინაგან საქმეთა მინისტრმა თურქიაშვილი მას შემდეგ დააპატიმრა, რაც დუისთან მომხდარი შეტაკებისას დაჭრილი ჩეჩნის - ისა მურადოვის ახმეტის საავადმყოფოდან გაქრობის ამბავი გახდა ცნობილი. თუმცა, სიტყვა გაქრობა ამ შემთხვევაში გაზვიადებულია, რადგან არაერთმა ადამიანმა დაინახა, თუ როგორ მიაკითხა დაჭრილს რამდენიმე თანამემამულემ საკაცით, მშვიდად გამოიყვანეს იგი პალატიდან, მანქანაში ჩასვეს და წავიდნენ. ფაქტია ისიც, რომ ამავე მანქანით ჩეჩნებმა მშვიდად გაიარეს უშიშროების სამინისტროს სპეცძალებითა და შინაგანი ჯარების ჯარისკაცებით დაკომპლექტებული ბლოკპოსტები და პანკისის ხეობის ტყეებს შეაფარეს თავი.

გაგრძელება A4 გვერდზე

## გატაცებულ ქართველ მეცხვარეებს ჯაშუშობას აიძულებენ

ეს არც დეტექტიური მოთხრობაა და არც "თავზეხელაღებულთა ახალი თავგადასავალი". ეს გახლავთ რუსეთ-საქართველოს იმ ურთიერთობათა შედეგი, რომელიც ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდა. ეს არის ფაქტები, რომელიც ნათელს ხდის იმ დამახინჯებულ ინფორმაციას, რომლითაც რუსეთი მსოფლიოს წინაშე საქართველოს წინააღმდეგ საკუთარ აგრესიულ პოლიტიკას ამართლებს.

**ორშაბათს, 15 საათზე, გაზეთ "24 საათის" რედაქციაში პრესკონფერენციას გამართავენ ქართველი მეცხვარეები - დავით გიგოიძე და ილია მოზაიძე - იმ ამბის გმირები, რომლის მოკლე ვარიანტსაც ახლა გადმოგცემთ.**

მიმდინარე წლის 22-23 აგვისტოს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო უწყების წარმომადგენლებმა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი დაარღვიეს და გაიტაცეს საქართველოს მოქალაქეები, მეცხვარეები დავით გიგოიძე და ილია მოზაიძე. საბედნიეროდ, ორკვირიანი ოდისეა მათთვის კეთილად დასრულდა და 5 სექტემბერს რუსმა მესაზღვრეებმა ისინი საქართველოს მხარეს გადმოსცეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსეთის აგრესიული დიპლომატიის მიზნები

მაია მოსიაშვილი

დიპლომატიურმა ომმა, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს, პიკს მიაღწია. რუსული დიპლომატია ვერ თავისუფლდება იმპერიული აზროვნებისგან და ამ აზროვნებიდან გამომდინარე, ისახავს ამოცანებს, რომელთა არსსაც კარგად გამოხატავს ვილჰელმ პირველისა და ჰებელსის უსაყვარლესი ფრაზა: "ჭეშმარიტი ჰოგენცოლერნი არასოდეს გაუშვებს ხელიდან იმას, რაც ერთხელ უკვე დაიპყრო."

რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან ღია მუქარა - რა არის ეს, აგრესია დაშინების მიზნით თუ ომის გამოცხადება? მარჩიელობას ისტორიის გახსენება სჯობს, რადგან ის, რასაც დღეს რუსეთი აკეთებს, ახალი არ არის და ამას საუკუნეების მანძილზე მიმართავდნენ როგორც თავად რუსები, ისე ევროპის სახელმწიფოები.

ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ტარლე აგრესიული დიპლომატიის ძირითად, ყველაზე გავრცელებული ხერხების კლასიფიკაციას ახდენს და მას ათ ჯგუფად ყოფს. ამათგან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა რამდენიმეს უკვე მიმართა:

გაგრძელება A3 გვერდზე

## შენთვის რა არის მცხეთა, ძმაო!

ზაზა ფარუაშვილი

მცხეთაში ორი ხმა ისმის: ერთი - ლოცვის, მეორე - საქეიფო მუსიკის. რამდენადაც ლოცვა არის მშვიდი, იმდენად მუსიკაა ბობოქარი. სვეტიცხოვლის წინამძღვარი მამა ზენონი ბრძანებს, მუსიკის ხმა ზედაზნის მონასტრამდე აღწევსო. როგორც ჩანს, მცხეთაში მდებარე რესტორნები ხმაურში ერთმანეთს ეჯიბრებიან და მიზანს ერთი მეორეზე უკეთესი ხმის გამაძლიერებლებით აღწევენ. მოდაში აზიური ჰანგებიც ყოფილა და ჩვენი ინტერნაციონალისტი მერესტორნეები, თურმე, ამ ჭყვიტინსაც უშურველად აწვდენენ ქართულ ცას. მრავალფეროვანი სიამოვნებისთვის ბახუსს ბაიათითაც ეფერებიან.

შეწუხებულან მცხეთელები და ისევ სვეტიცხოველში მისულან, მამა ზენონ, შენ მაინც გვიშველეო, მთავრობასთან გვიშუამდგომლეო, ძილი და სიმშვიდე დაგვიბრუნონო. ასე აღმოჩნდა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე სვეტიცხოველში და პარლამენტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის გია შაიშმელაშვილის მიზანში.

საქმე ისაა, რომ გუშინ სახელმწიფო მინისტრის გეგმაში შაიშმელაშვილთან შეხვედრა არ ყოფილა, მაგრამ ბატონ გიას როგორც კი გაუგია, ჯორბენაძე სვეტიცხოველში მიდისო, დაუვლია ხელი თავისი პროექტისთვის და მცხეთისკენ გაუწევია. ამრიგად, რესტორნების საქმეზე ჩასულ სახელმწიფო მინისტრს, ცხვირწინ საპატრიარქოს მომავალი რეზიდენციის მაკეტი დახვდა, რომელსაც ლობირებას გია შაიშმელაშვილი უწევს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## კიდევ ერთი სასამართლო დავა უცხოური კომპანიის წინააღმდეგ

სოფო კვინტრაძე

ბრიტანული კომპანია "ნეფტრანს ჰოლდინგი", რომელიც ბათუმის ტერმინალისა და ფირმა "ალეგრატრანსის" მფლობელია, არ აპირებს გადაიხადოს ექვსი მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა, რაც მას აჭარის უზენაესმა სასამართლომ საქართველოს რკინიგზასთან წაგებული დავის შემდეგ დააკისრა. "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე ბრიტანული კომპანიის დირექტორმა მარკ როუდსმა განაცხადა, რომ სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და დავა, რომელიც "ნეფტრანს ჰოლდინგსა" და საქართველოს რკინიგზას შორის წარმოიშვა, მხარეებს შორის გაურკვეველი ურთიერთობის შედეგია.

როგორც ცნობილია,წარმოქმნილი კონფლიქტის მიზეზი საქართველოს რკინიგზის ბრალდებაა, რომელიც "ნეფტრანს ჰოლდინგს" ვაგონების უმიზეზოდ მოცდენაში ადანაშაულებს. საქართველოს რკინიგზის იურიდიული სამსახურის უფროსი გიორგი ნადარეიშვილი აცხადებს, ბათუმის ტერმინალი თავის დროზე არ იღებდა ბაქო-ბათუმის მარშრუტით მოძრავ ტვირთგადამზიდ ვაგონებს და მატარებლებს ზოგჯერ თვეობის მანძილზეც კი უწევდათ მოცდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ვიაჩესლავ ნიკონოვი: "საფიქრებელია, რომ ამერიკა საკუთარი ძალებით გადაჭრის პანკისის პრობლემას"

რუსუდან ნიკურაძე

საქ. კორ. მოსკოვში

*"24 საათისათვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში, რუსეთის საზოგადოებრივი ფონდის - "პოლიტიკის" პრეზიდენტი ვიაჩესლავ ნიკონოვი საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს თუ საქართველოს საშინაო პრობლემებს, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ ორიგინალურად განსჯის. ეს უფრო იმ შემთხვევას ჰგავს, როცა ადამიანს სასურველი შესაძლებლად და დასაშვებად ეჩვენება.*

*მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ამ ვითარებაში, როცა უკიდურესობამდეა გამწვავებული საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, საინტერესო უნდა იყოს რუსეთის ერთ-ერთი გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელის პოზიცია.*

- მკაცრი განცხადებების მიუხედავად, რუსეთს დღეს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის წარმოება ხელს არ აძლევს, – ამბობს ნიკონოვი, -მაგრამ არ მესმის, სხვაგვარად როგორ შეიძლება პანკისის პრობლემის მოგვარება, თუ არა რუსეთიდან საქართველოში სპეციალური დანიშნულების დანაყოფების გაგზავნით. რადგან შევარდნაძე ამაზე უარს აცხადებს, საფიქრებელია, რომ აშშ სულ მალე საკუთარი ძალებით გადაჭრის პანკისის პრობლემას.

**- თქვენ გულისხმობთ "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას" თუ რაიმე დამატებითი ღონისძიებების გატარებას?**

- ამ პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ფული ქართველმა მინისტრებმა და მაღალჩინოსნებმა დიდი ხანია, შეჭამეს და იგი სულ სხვა დანიშნულებით, უფრო სწორად, ქართველი ჩინოვნიკების პირადი მიზნებისთვის იქნა გამოყენებული. მე არ მესმის, ასეთ ვითარებაში ქართული არმიის რომელ აღჭურვასა და წვრთნაზე შეიძლება სერიოზული ლაპარაკი? ამერიკამ უკვე ჩაწერა პანკისის ხეობა იმ ადგილთა სიაში, სადაც დღეს "ალ ქაიდა" იმყოფება და იქ ძალას გამოიყენებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "იბერუს კავკაზუს ჰაეროტიპიკუს ტემპერამენტუს"




რეზო გაბრიაძე: "არაფერს ვამბობ ახალს, კარგად ვიცი, რომ ახალი არაფერია ამ ქვეყანაზე". ბესო გულაშვილის ფოტო

## "ომი საქართველოში კატასტროფა იქნება მთელი რუსეთისათვის"

### ანდრეი სახაროვის ფონდისა და ომის შეწყვეტისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მშვიდობის დამყარების ხელშემწყობი საერთონაციონალური კომიტეტის საგანგებო განცხადება

საქართველოს წინააღმდეგ საომარი სულისკვეთების მქონე განცხადებების ნაკადმა საშიშ ტემპერატურას მიაღწია. პრეზიდენტი პუტინი, რუსეთის სამხრეთ მეზობლის მისამართით, არა მხოლოდ უკიდურესად მკვახე განცხადებით გამოვიდა, არამედ ძალოვნებს სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული ოპერაციის ჩასატარებლად საჯაროდ მისცა მითითება. ადრე ჩვენი სახელმწიფოს არც ერთი ხელმძღვანელი არ აძლევდა თავს მსგავსი რამის უფლებას.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოში შეჭრის ნებისმიერი მცდელობა რუსეთისათვის აბსოლუტური კატასტროფა იქნება. საქართველო – ჩვენს მეზობლად მდებარე სუსტი და ღარიბი სახელმწიფო - არა მარტო დიდი შრომით ძლევს პრობლემებს, არამედ მზარდ დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას აშენებს. ქართველი ხალხი რუსეთის მრავალსაუკუნოვანი მეგობარი და მისი სულიერი ძმაა. საქართველოსთვის დარტყმის მიყენება რუსეთის ისტორიისა და მისი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული იქნება. ეს იქნება თვით რუსეთისთვის გულში მიყენებული ჭრილობა, რომლის საშინელი შედეგების გამოსყიდვა კიდევ მრავალ თაობებს მოუწევთ. საქართველოს წინააღმდეგ აგრესია უპირობოდ გახდება ახალი სრულიად კავკასიური ომის გაჩაღების დეტონატორი, რომლის ალიც არა მხოლოდ საქართველოს

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | ☼ |
| ქუთაისი | 28 | ☼ |
| ბათუმი | 25 | ☼ |
| სოხუმი | 26 | ☼ |
| ფოთი | 26 | ☁☼ |
| თელავი | 26 | ☼ |
| ზუგდიდი | 27 | ☁ |
| გორი | 25 | ☼ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1850 |
| ევრო | 2.1439 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4047 |
| რუბლი | 0.0690 |

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 საზოგადოება A4 სამართალი A4 ეკონომიკა
B2 კულტურა B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

# "ომი საქართველოში კატასტროფა იქნება მთელი რუსეთისათვის"

პირველი გვერდიდან

ტერიტორიასა და სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებსაც მოიცავს, არამედ რუსეთში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიაზეც გავრცელდება.

ამიერკავკასიაში ომის გადატანის მცდელობა იმის უცილობელი აღიარებაა, რომ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ფაქტობრივად, აღიარა ჩეჩნეთის კამპანიის სრული ჩიხი. მშვიდობიანი პოლიტიკური მოლაპარაკებების დაწყების სანაცვლოდ, რომლის აუცილებლობაზეც სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ ცნობილი რუსი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, ჩვენ ვხედავთ კონფლიქტის ესკალაციისადმი დაუოკებელ სწრაფვას. მსგავსი სცენარი ჯერ გამოიყენა პირველი, საფრანგეთმა, როცა ალჟირში სამხედრო წარუმატებლობამ, მას ეგვიპტისა და ტუნისის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებებისაკენ უბიძგა. შემდეგ იგივე დაემართა აშშ-ს, როცა ვიეტნამის ომის ჩიხის გადაჭრას კამბოჯაში შეჭრით შეეცადა. უღირს თუ არა რუსეთის ხელისუფლებას, ამგვარ ხაფანგში გაბმა?

ცინიკური, პრიმიტიული და ფლიდურია საქართველოში დაგეგმილი ომის გამართლება! არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე შედარება შევარდნაძის საქართველოსა და სადამ ჰუსეინის ერაყს შორის - ეს ხომ ცხადზე ცხადია. ისევე ცხადი, როგორც ის, რომ, თუკი სამი წლის მანძილზე რუსეთის არმიამ ვერ შეძლო ჩეჩნეთში შეიარაღებული ამბოხის ჩახშობა, ამას, მით უმეტეს, ვერ შეძლებს კავკასიის ქედის იქითა მხარეს, ჩეჩნეთზე გაცილებით დიდ ტერიტორიაზე ომის გავრცელებით.

ჩვენ მოვუწოდებთ ფედერაციათა საბჭოს, არ გასცეს თანხმობა საქართველოში შეჭრაზე და არ აიღოს ამ ავანტიურაზე უმძიმესი ისტორიული პასუხისმგებლობა.

ჩვენ მოვუწოდებთ დასავლეთის ქვეყნებს, მკაფიოდ და არაორაზროვნად განუცხადონ რუსეთის ხელმძღვანელობას საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის დაუშვებლობის შესახებ.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობას, გამოვიდეს ახალი კავკასიური ომის წინააღმდეგ, მოითხოვოს მასხადოვთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაუყოვნებლივი გამართვა, რადგანაც მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, რომ ჩეჩნეთის ომის გაგრძელება გარდუვალად მიგვიყვანს მის გაფართოებამდე და, შედეგად, უმძიმეს საერთაშორისო კრიზისამდე.

**ომის შეწყვეტისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მშვიდობის დამყარების ხელშემწყობი საერთონაციონალური კომიტეტის დავალებით:**

**ელენე ბონერი - ანდრეი სახაროვის ფონდი;**

**ს. განუშკინა - სამოქალაქო თანადგომის კომიტეტი;**

**ლ. გუდკოვი - ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი;**

**ს. კოვალიოვი - რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი;**

**ო. ორლოვი - ცენტრ მემორიალის სამართალდამცველი;**

**ლ. პონომარიოვი – "სრულიად რუსეთის მოძრაობა ადამიანთა უფლებებისათვის";**

**ი. სამოდუროვი - ანდრეი სახაროვის მუზეუმი და საზოგადოებრივი ცენტრი;**

**ა. ტკაჩენკო – მწერალი, რუსეთის პენცენტრი;**

**ა. იაზიკოვა - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი;**

**ი. იაკოვენკო - ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.**

# ანტიკრიმინალური ოპერაცია დისკრედიტაციისა და წარმატების ზღვარზე

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი ჩეჩნური დაჯგუფების ლიდერის - ახმადოვის ახლო ნათესავად ითვლებოდა. შემთხვევითი არაა, რომ ორივე ფეხის წვივის არეში დაჭრილ მებრძოლს, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, ახმეტის საავადმყოფოში გაძლიერებული დაცვა დაუნიშნეს.

ეს იყო ერთ-ერთი უიშვიათესი დღე, როდესაც მოსახლეობამ ირწმუნა, რომ ხელისუფლებამ უარი თქვა ბანდიტებთან ყოველგვარი გარიგების პრაქტიკაზე და დადგა გარდატეხის მომენტი პანკისის ხეობაში წესრიგის აღსადგენად. მაგრამ ეს აღმაფრენა სულ მალე საშინელი იმედგაცრუებით დასრულდა. მცირედი წარმატება კი ფარსად იქცა. ტაბელური იარაღით აღჭურვილმა ქართველ პოლიციელთა სამკაციანმა ჯგუფმა დავალება პირნათლად მხოლოდ იმ ნაწილში შეასრულა, რაც საშიში პაციენტის ჟურნალისტების ტელეკამერებისგან დაცვას ითვალისწინებდა. როგორც კი შებინდდა, ორივე ფეხში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი ისა მურადოვი ისე გაუჩინარდა, რომ ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყო. დაცვა მოხსნილი იყო, ახმეტელი ექიმები კი იმავე დღეს დუისში მძიმედ დაჭრილი ჯაფარ ხანგოშვილის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ და ვერაფერი გაიგეს. შეშინებული მედპერსონალი მომართულივით მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა, რომ ამ კატეგორიის პაციენტი სხვის დაუხმარებლად ვერ მოახერხებდა საავადმყოფოდან გაქცევას.

მაგრამ ვინ დაეხმარა მურადოვს გაქცევაში? აქ ორგანიზებული დანაშაულის მთელი ჯაჭვი იკვეთება. თუმცა, ამ ჯაჭვიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა ნარჩემაშვილმა, ჯერჯერობით, ერთი მთავარი რგოლი - ახმეტის პოლიციის უფროსი ავთო თურქიაშვილი გამოარჩია და უპრეცედენტო ბრძანებაც გასცა მისი პატიმრობაში აყვანის შესახებ. ხოლო კადრების განკარგულებაში გადაყვანილ ახმეტის პოლიციის პირად შემადგენლობას ატესტაციაზე ხელახლა მოუწევს "მუნდირის ღირსების" დაცვა.

ახმეტაში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი გეტყვით, თუ როგორ შეხმატკბილებულად ცხოვრობენ ადგილობრივი კრიმინალები და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები. მაგრამ განა იგივე არ ხდება დანარჩენ საქართველოში? ვისაც არ უნახავს ახმეტის პოლიციის ფარღალალა შენობა, მწირი შეიარაღება და აღჭურვილობა, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები, ნუ იჩქარებს მათ განკითხვას.

***"მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არ გვქონდა იმედი, რომ ცენტრალური ხელისუფლება მხარს გვიჭერდა. ისინი უფრო ხშირად ხვდებოდნენ ბანდიტებს, ვიდრე პირად შემადგენლობას. ახლა ვითარება თითქოს შეიცვალა, მაგრამ თურქიაშვილი მურადოვის გაპარებას მაღლიდან წამოსული ბრძანების გარეშე ვერ გაბედავდა,"*** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ინკოგნიტო პოლიციელმა.

საერთოდ, ახმეტის რაიონი, საინფორმაციო თვალსაზრისით, მეტად საინტერესო მოზაიკას წარმოადგენს. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მთავარია, არ დაარღვიო ინფორმატორის ანონიმურობა. ესეც ერთგვარი პროტესტია ხელისუფლების მიმართ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში უმოქმედობას იჩენდა დამნაშავეთა სამყაროს მიმართ.

ახმეტის საავადმყოფოდან მომხდარი უპრეცედენტო გაქცევიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ანტიკრიმინალურ ოპერაციაში მონაწილე პოლიციის წარმომადგენლებში უკვე ხმამაღლა საუბრობდნენ იმაზეც, თითქოს დაჭრილი ჩეჩნის გაუჩინარების უკან იდგნენ ის რეაქციული პოლიციური ძალები, რომლებმაც თავის დროზე სასათბურე პირობები შეუქმნეს კრიმინალურ დაჯგუფებებს, ახლა კი ცდილობენ, მთელი ამ ანტიკრიმინალური წამოწყების დისკრედიტაცია მოახდინონ. მის წინააღმდეგ ფარული დაპირისპირების შესაძლებლობას არც კობა ნარჩემაშვილი გამორიცხავს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ოპერაციის მსვლელობას ხელს ვერაფერი შეუშლის.

13 სექტემბერს დუისთან მომხდარმა შეტაკებამ და დაჭრილი ჩეჩნის გაქცევამ ერთგვარად დააჩქარა ანტიკრიმინალური ოპერაციის მსვლელობა და 14 სექტემბერს შერეულმა ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფმა წარმატებული რეიდი ხეობის სოფელ წინუბანში განახორციელა. იქ აღმოჩენილი არსენალი ცხადყოფს, რომ ხეობის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ეს სოფელი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ერთ-ერთი საყრდენი პუნქტის მოვალეობას ასრულებდა.

აი, ასე, წარმატებისა და დისკრედიტაციის ზღვარზე მიემართება ანტიტერორისტული ოპერაცია პანკისის ხეობაში და, ჯერჯერობით, კვანძის გახსნას ვერავინ იწინასწარმეტყველებს.




**თბილისი.** ევროკავშირის მაღალჩინოსანმა წარმომადგენლებმა პეტრ სტიგ მეილერმა და კრის პატენმა ნიუ-იორკში რუსეთში საგარეო საქმეთა მინისტრთან, იგორ ივანოვთან შეხვედრისას გააფრთხილეს რუსეთი, თავი შეიკავონ საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი ცალმხრივი სამხედრო აქციის განხორციელებისაგან. მეილერმა, აგრეთვე მოუწოდა თბილისს, აღადგინოს კონტროლი პანკისის ხეობაზე, სადაც მოსკოვის მტკიცებით, თავს აფარებენ ჩეჩენი სეპარატისტების რაზმები. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვი 1 სექტემბრისათვის 184 248 478,60 აშშ დოლარს შეადგენს. როგორც ეროვნულ ბანკიდან იტყობინებიან, აგვისტოში რეზერვი ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკის აქტიურობის შედეგად 7 282 400 დოლარით შეივსო. ამ თანხიდან გარკვეული რაოდენობა მიმართული იყო საერთაშორისო ვალების მომსახურების დასაფარავად, რისთვისაც 18,2 მილიონი დოლარი გამოყვეს. აგვისტოში განხორციელდა, ასევე, ევროვალუტაზე გადასვლის პროცესი. პირველი იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვი ინახება დივერსიფიკაციის პრინციპის, SDR-ის კალათის გათვალისწინებით. ამ კალათში 45%-ს შეადგენს აშშ დოლარი, 29%-ს ევრო, 15%-ს - იაპონური იენა და 11%-ს ინგლისური ფუნტი სტერლინგი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** "ჩვენ გვაქვს საკმარისზე მეტი მონაცემი იმის შესახებ, რომ ბანდიტები შეეცდებიან პანკისიდან რუსეთში მოხვედრას", - განაცხადა რუსეთის სასაზღვრო სამსახურის ჩრდილო-კავკასიის რეგიონალური შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი პუტოვმა. მანვე განაცხადა, რომ ჩეჩენი ბოევიკები და უცხოელი დაქირავებულები შეეცდებიან პანკისიდან გასვლას და რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადალახვას არა მხოლოდ ჩეჩნეთის მონაკვეთზე, არამედ სხვა მონაკვეთებიდანაც. "ბანდიტებს უნდა ველოდოთ საზღვრის მთელ სიგრძეზე", – განაცხადა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის გუბერნატორის ლევან მამალაძის დავალებით უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელშიც შევლენ რეგიონული კონტროლის პალატა, საგანგებო ლეგიონი, საგადასახადო ინსპექცია, პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები. "თუ უმოკლეს დროში არ შეწყდება კონტრაბანდული ტვირთის რეალიზაცია, გპირდებით, ან ეგენი წავლენ, ან მე დავტოვებ თანადებობას," - განაცხადა მამალაძემ. რუსთავის ბაზრებში შვიდი დასახელების კონტრაბანდული ფქვილი იყიდება, მათი უმრავლესობა რუსეთიდანაა შემოტანილი და სიიაფის გამო, ადგილობრივი წარმოების ფქვილი კონკურენციას ვერ უწევს. აზერბაიჯანიდან შემოტანილი ფქვილი ქართულწარწერიან ტომრებშია ჩაყრილი და პირველი ხარისხის პროდუქტს, უმაღლესი ხარისხისად ასაღებენ. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს ორგანიზაციებს რუსეთის მიმართ სრულმა დავალიანებამ 831,72 მილიონი რუბლი შეადგინა, მათ შორის 776,28 მილიონი რუბლი გადავადებულია.

ეს დავალიანება ქართულ საწარმოების მხრიდან რუსეთისათდმი 754,61 მილიონი რუბლით აჭარბებს რუსეთის ანალოგიურ დავალიანებას საქართველოს მიმართ. მათ შორის გადავადებული დავალიანება 775,16 მილიონი რუბლით. ამასთან, საქართველოს და რუსეთის ვალები, პარიზის კლუბის შეთანხმების საფუძველზე - რესტრუქტურიზებულია, რაზეც შესაბამისი დოკუმენტი არსებობს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი აცხადებს, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება. როგორც ჰეიდარ ალიევმა ჟურნალისტებს უთხრა, აზერბაიჯანი არ აპირებს უსასრულოდ შეურიგდეს თავისი მიწების ოკუპაციის ფაქტს. "ქვეყანა მზად უნდა იყოს ოკუპირებული აზერბაიჯანული მიწების გასათავისუფლებლად", – განაცხადა პრეზიდენტმა. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ ბაქო მხარს უჭერს სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ყველა სახელმწიფო დაწესებულება და სამთავრობო რეზიდენცია გადაყვანილია დაცვის გაძლიერებულ რეჟიმზე. როგორც სახელმწიფო კანცელარიიდან სარწმუნო წყარო იტყობინება, სამთავრობო დაცვის ხსამსახურის ხელმძღვანელობა აპირებს, დღეს დაცვის დამატებითი ქვედანაყოფები კრწანისის რეზიდენციაში გადაიყვანოს. ვიზუალურად სახელმწიფო კანცელარიის ირგვლივ დაცვის გაძლიერება არ შეინიშნება, თუმცა, მის მახლობლად განთავსებულ შენობებზე სნაიპერები შეინიშნება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** კოდორის ხეობაში შექმნილი ვითარება და საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში პირველი სამუშაო ჯგუფის საგანგებო სხდომის ჩატარების საკითხები გახდა აფხაზეთის თვიგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის ვლადიმერ არშბასა და გაერო-ს სამხედრო დამკირვებლების მისიის ხელმძღვანელის კაზი აშფაკის შეხვედრის მთავარი თემა. აშფაკმა შეხვედრაზე 12 სექტემბერს, კოდორში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები გააცნო. მან განაცხადა, რომ ადრე მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, მონიტორინგისას ქართულ მხარეს თავისი წარმომადგენლები არ გაუგზავნია. თავის მხრივ, არშბამ აშფაკის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველო მუდმივად არღვევს მოსკოვის შეთანხმებას. მანვე განაცხადა, რომ კოდორში არასანქცირებულ საჰაერო ფრენებს, ჩეჩენ ტერორისტებთან ერთად, პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი ახორციელებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 15 სექტემბერს სართიჭალაში, ფასანაურსა და კარდანახში ადგილობრივი თვითმმართველობის განმეორებითი არჩევნები გაიმართება. ცესკოში უარყვეს ინფორმაცია, რომ არჩევნები შესაძლოა, უსახსრობის გამო ჩაიშალოს. მათი განცხადებით, ბიულეტენები უკვე თითქმის ყველგან დარიგებულია და თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ხვალ არჩევნების გამართვას წინ არაფერი აღუდგება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის ტელეარხის "ენტე-ვეს" მიერ ჩატარებული ინტერაქტიული გამოკითხვით, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გმობს რუსეთის პრეზიდენტის 11 სექტემბრის განცხადებას და დაუშვებლად მიიჩნევს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ სამხედრო აგრესიის განხორციელებას.

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარების წინააღმდეგ მოსახლეობის 71 პროცენტი გამოვიდა. დარჩენილი 29 პროცენტიდან ნაწილს, საქართველოსა და რუსეთს შორის შექმნილი დაძაბული ვითარების მიმართ, საკუთარი პოზიცია ჯერჯერობით არ გააჩნია. **ინტერ-პრესი.**

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# გატაცებულ ქართველ მეცხვარეებს ჯაშუშობას აიძულებენ

პირველი გვერდიდან

სამშობლოში მათი დაბრუნების შემდეგ გაირკვა, რომ ფათერაკს პირველად ილია მოზაიძე გადაეყარა. 22 აგვისტოს ის დუშეთის რაიონში, თურსიეხის ტერიტორიაზე ცხვრის ფარას აძოვებდა, როდესაც ორმა რუსმა მესაზღვრემ საზღვარი დაარღვია, 150-200 მეტრით შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, დაატყვევა ქართველი მეცხვარე და ხელბორკილდადებული რუსეთის მიმართულებით წაიყვანა. მოზაიძეს ბრალად დასდეს, რომ თითქოს ის და სხვა ქართველი მეცხვარეები ჩეჩენ მებრძოლებს რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლაში ეხმარებოდნენ, ამარაგებდნენ მათ საკვები პროდუქტებით და აწვდიდნენ ინფორმაციას რუსი მესაზღვრეების დისლოკაციის ადგილებისა და მათი შეიარაღების შესახებ. გარდა ამისა, რუსი მესაზღვრეები მოზაიძისგან ითხოვდნენ, ეღიარებინა 26-27 ივლისს საქართველოდან რუსეთში 60-70-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფების გადასვლის ფაქტი.

როდესაც რუსი მესაზღვრეები დარწმუნდნენ, რომ მათთვის სასურველ ჩვენებას მოზაიძისგან ვერ მიიღებდნენ, მუქარაზე გადავიდნენ - სახელმწიფო საზღვრის "დარღვევისთვის" ქართველ მეცხვარეს ხუთწლიან პატიმრობას "შეჰპირდნენ". რადგან მუქარამ არ გაჭრა, ხელბორკილდადებული მოზაიძე რუსებმა ბნელ, ჭუჭყიან სარდაფში ჩაკეტეს და თან უთხრეს, რომ მალე მის მეგობარსაც დააკავებდნენ. ეს გარემოება კი, ალბათ, უკვე იმაზე მიანიშნებს, რომ რუსი მესაზღვრეები ორივე ქართველ მეცხვარეს უთვალთვალებდნენ და მათ დატყვევებას წინასწარვე გეგმავდნენ.


რუსი სამხედროებისთვის ძალადობა ჩვეული საქმეა. REUTERS

რუსებმა "დანაპირები" შეასრულეს: 23 აგვისტოს, როდესაც დავით გიგოიძე გაუჩინარებულ მეგობარს ეძებდა, საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის საზღვრიდან 50-70 მეტრის დაშორებით, რუსმა მესაზღვრეებმა ისიც შეიპყრეს. გიგოიძეს თავს დაესხა ექვსი მესაზღვრე, რომელთაგან ერთი ტყვიამფრქვევით იყო შეიარაღებული, დანარჩენები კი - ავტომატური იარაღით. რუს მესაზღვრეთაგან ერთ-ერთი აგრესიულად იქცეოდა და სიკვდილით ემუქრებოდა გიგოიძეს, თუ ის არ იტყოდა, საქართველოს ტერიტორიაზე, ამჟამად, სად აფარებდნენ თავს ჩეჩენი მებრძოლები. მეტი დამაჯერებლობისთვის, ქართველ მეცხვარეს ესროლეს კიდეც ტყვიამ გიგოიძეს 10-15 სანტიმეტრის დაშორებით ჩაუარა.

25 აგვისტოს განახლდა მოზაიძისა და გიგოიძის დაკითხვები, რომელსაც ვინმე მაიორი შაროვი აწარმოებდა. ტყვეებს ურთიერთობა უხდებოდათ ჯარისკაცებთან და სწორედ მათგან შეიტყვეს, რომ ქართველ მეცხვარეებზე ნადირობის ბრძანება "ზევიდან" მოდიოდა.

1 სექტემბრიდან დაკითხვა უკვე რაზმში გაგრძელდა და კვლავ უშედეგოდ, რის შემდეგ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ოფიცერმა გასცა განკარგულება, მოზაიძის, როგორც რუსეთის ფედერაციის საზღვრის დამრღვევის მიმართ, აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე.

თუმცა, მეორე დღეს, როდესაც მოზაიძე კვლავ გაიყვანეს დაკითხვაზე, მის მიმართ ტონი და ტაქტიკა შეცვალეს. რუსი ოფიცრები ურჩევდნენ ქართველ მეცხვარეს, ყოფილიყო გულწრფელი და, სამაგიეროდ, მას – თელიძის მსგავსად, დაუფასებდნენ ერთგულებას. კერძოდ, რუსეთის მთავრობა დააჯილდოვებდა, მისცემდა ბინას მოსკოვში და 50 ათას დოლარს გადაუხდიდა.

იმავე ტაქტიკით მიმდინარეობდა გიგოიძის დამუშავებაც. მწყემსებზე ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, რუსებს უნდოდათ, ფიზიკური განადგურების შიშით აეძულებინათ მოზაიძე და გიგოიძე, გადაეცათ მათთვის სასურველი ინფორმაცია და თანამშრომლობაზე დაეყოლიებინათ. ამ მიზნით, ქართველი მეცხვარეები 2 სექტემბერს თვალახვეულები და ბორკილდადებულები გამოიყვანეს საკნებიდან, გააჩერეს ეზოში და მათ ზურგს უკან ავტომატური იარაღის გადასატენი მოწყობილობა აარჩხაკუნეს.

მეორე დღეს დასაკითხად მხოლოდ მოზაიძე გაიყვანეს და მას თანამშრომლობა შესთავაზეს: თუ იგი ამაზე დათანხმდებოდა, საზღვრის დარღვევისთვის აღარ გაასამართლებდნენ და, მეგობართან ერთად, სამშობლოში დააბრუნებდნენ. თანამშრომლობა კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მოზაიძეს უნდა შეეგროვებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გადავიდნენ 26-27 ივლისს ჩეჩნები საქართველოდან რუსეთში.

# რუსეთის აგრესიული დიპლომატიის მიზნები

პირველი გვერდიდან

1. აგრესორის მიერ მოწინააღმდეგის საშინაო არეულობების დიპლომატიური გამოყენება; 2. ნაციონალური უთანხმოების გამოყენება; 3. სისტემატური მუქარისა და ტერორიზების ხერხი; 4. სუსტი სახელმწიფო წარმონაქმნების დაცვა, როგორც აგრესიის გამართლება და 5. თავდაცვის მოტივით შენიღბული აგრესია.

ეს უკანასკნელი დიპლიმატიური ხერხებიდან ყველაზე შაბლონურად ითვლება. ისტორიაში ძნელად მოიძებნება აგრესორი, რომელსაც არ ემტკიცებინოს, რომ ომი თავდაცვის აუცილებლობით იყო გამოწვეული.

თითქოსდა აუცილებელი თავდაცვის მიზნით დაწყებული აგრესიის კლასიკურ მაგალითად ითვლება 1914 წელს გერმანიის შეჭრა ბელგიაში. რამდენიმე თვით ადრე პრუსიამ, სხვებთან ერთად, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ის აღიარებდა ბელგიას, როგორც "სამუდამოდ დამოუკიდებელ და ნეიტრალურ სახელმწიფოს". მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა გერმანიის მთავრობას, 1914 წლის 2 აგვისტოს ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის გამოეცხადებინა: გერმანიაში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ფრანგებს ბელგიაში შეჭრა სურთ, ამიტომ გერმანია, თავდაცვის მიზნით, თავს ვალდებულად მიიჩნევს, მტრის დარტყმას დაასწროს და თავად დაიკავოს ბელგიაო. სინამდვილეში არც ფრანგებს ჰქონდათ ასეთი ზრახვები და არც მსგავსი ხმები არსებობდა. უბრალოდ, შლიფენის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, საფრანგეთზე უაეცარი თავდასხმის ეფექტურობისთვის აუცილებელი იყო, გერმანიას საომარი ოპერაცია ბელგიის მხრიდან განეხორციელებინა. მეორე დღეს, 3 აგვისტოს გერმანიის არმია ბელგიაში შეიჭრა. უკვე 4 აგვისტოს კანცლერი რაიხსტაგის ტრიბუნიდან აღიარებდა, რომ ბელგიის მიმართ უსამართლობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ "საჭიროებამ არ იცის კანონი"; სამართალმა თავი უნდა დაუხაროს ფაქტს და დათმობაზე წავიდეს გამარჯვებულთან, - უმტკიცებდნენ ხალხს გერმანელი იურისტები და ისტორიკოსები.

ჰიტლერის მთავრობა ხშირად მიმართავდა დიპლომატიურ აგრესიას. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების საფუძვლად გამოყენებულ იქნა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, ბოკჰოფის შემდეგი თეზისი: "არის თუ არა საბჭოთა კავშირი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი? ის არ არის სახელმწიფო. ის არის მომთაბარეების ბრბო, რომლებსაც რევოლუციურ-დამანგრეველი მიზნები აქვთ. ამიტომ ბოლშევიკი ბარბაროსებისაგან თავდაცვის მოტივით, ნებისმიერს აქვს უფლება, შეიჭრეს მის ტერიტორიაზე."

გერმანულად განსწავლული პუტინის მიერ მუქარისა და ტერორიზების ხერხის გამოყენება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, საქართველოს ომი გამოუცხადოს. მას რუსული ძალის დემონსტრირება სურს. ის შეურაცხყოფილია, რადგან ქართულ მიწაზე ტერორისტების დევნის სურვილი გამოთქვა და მასპინძლობაზე უარი უთხრეს.

დიპლომატიის ისტორიაში დაშინების მეთოდის გამოყენება ორ კატეგორიად იყოფა: პირველი – დიპლომატები ხშირად აშინებენ მოწინააღმდეგეს, სინამდვილეში კი მუქარის შესრულება დაგეგმილიც არ აქვთ; მეორე – როცა ისინი მართლაც მზად არიან, სიტყვა საქმედ აქციონ. მუქარის მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა მოწინააღმდეგის იძულება, გააკეთოს ის, რაც აგრესორს სურს.

საქართველოს პრეზიდენტს, როგორც მსოფლიოში აღიარებულ დიპლომატს, არ შეიძლება, არ სცოდნოდა, რა მოჰყვებოდა ყველაფერ ამას; შესაბამისად, მას უნდა ჰქონდეს თავისი სვლა. თუ რუსეთის მუქარამ გაჭრა და ქართული მხარე დათმობაზე წავიდა, მაშინ ჩვენს დიდ მეზობელს კიდევ ბევრჯერ მიეცემა საშუალება, სხვადასხვა აგრესიული დიპლომატიური ხერხები ქართველთა ტყავზე გამოსცადოს.

უცხოეთი

# რუსი მესაზღვრეები გელაევს ელიან

რუს მესაზღვრეებს საქართველოსთან საზღვრის გაძლიერებული დაცვა დაევალათ მას შემდეგ, რაც რუსეთის სპეცსამსახურებმა მიიღეს ცნობები საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთში ჩეჩენი მებრძოლების შესაძლო გადასვლის შესახებ.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინ ტოცკიმ განაცხადა, რომ ჩეჩნები, შეიძლება, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთის ან ოსეთის მონაკვეთის გავლით გადავიდნენ რუსეთში. ტოცკი ჩეჩნებს დაღესტნის მონაკვეთზეც ელოდება, ოღონდ, რატომღაც, კოდორის ხეობიდან(?!). ასევე განაცხადა – **"შეუძლიათ წავიდნენ დაღესტნის მიმართულებით, კოდორის ხეობის გავლითო".** მისი თქმით, რუსლან გელაევის რაზმი ამჟამად რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს იმყოფება და მისგან ისეთივე თავდასხმაა მოსალოდნელი, როგორიც გასული წლის ოქტომბერში განხორციელდა. **"ველოდებით გარღვევის მცდელობას საკმაოდ ფართო ფრონტზე,"** – მზადყოფნა გამოხატა ტოცკიმ.


რუსლან გელაევი

უფრო ადრე მსგავსი განცხადებით გამოვიდა რუსეთის სასაზღვრო სამსახურის რეგიონული სამმართველოს უფროსი ვალერი პუტოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩეჩენი მებრძოლები, შეიძლება, რუსეთ-საქართველოს საზღვრის სხვადასხვა მონაკვეთზე გამოჩნდნენ. მან დააზუსტა, რომ ჩეჩნები შაბათს ან კვირას შეეცდებიან საზღვრის გადაკვეთას და რომ მათი რიცხვი ოთხმოცს აღწევს. პუტოვმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ რუსმა მესაზღვრეებმა საზღვარი "მაგრად" ჩაკეტეს, მაგრამ არაფერი უთქვამს საქართველოს მხრიდან საზღვრის დაცვის საიმედოობაზე.

# სუამ-ის მინისტრები ნიუ-იორკში იკრიბებიან

18-19 სექტემბერს ნიუ-იორკში მიმდინარე გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიის ფარგლებში გაიმართება სუამ-ის სახელმწიფოების (საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის) საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. მას უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ანატოლი ზლენკო უხელმძღვანელებს.

სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გაერთიანების სამდივნოსა და სტრუქტურის ფორმირების საკითხებს განიხილავენ. სექტემბრის ბოლოს დაგეგმილია სუამ-ის საზღვრის დაცვის სამსახურების მეთაურების შეხვედრაც. აგრეთვე თვის ბოლოსთვისაა დაგეგმილი თავისუფალი სავაჭრო ზონის თაობაზე მიღწეული შეთანხმების ასამოქმედებელი პროცედურების დასრულებაც.

ჯერჯერობით უცნობია, განიხილავენ თუ არა სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრები რუსეთსა და საქართველოს შორის გამწვავებულ ურთიერთობებს. უცნობია ისიც, მიიღებენ თუ არა შეხვედრაში რაიმე მონაწილეობას შეერთებული შტატების წარმომადგენლები.




# ვიაჩესლავ ნიკონოვი: "საფიქრებელია, რომ ამერიკა საკუთარი ძალებით გადაჭრის პანკისის პრობლემას"

პირველი გვერდიდან

**- რუსი პოლიტოლოგების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ პანკისის ხეობის პრობლემის რუსული სცენარით გადაჭრას, შედეგად აუცილებლად მოჰყვება საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლაც.**

- ეს ლოგიკური იქნება. აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში, დიდი ხანია, შევარდნაძით უკმაყოფილოები არიან, ანუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა აშშ-ს ადმინისტრაციის იმედები ვერ გაამართლა. მე ვფიქრობ, რომ ედუარდ შევარდნაძე დღეს სერიოზული პრობლემაა როგორც რუსეთისათვის, ისე საქართველოს და ამერიკისთვისაც. ბუშის ადმინისტრაციამ დღეს აღარ იცის, რა მოუხერხოს შევარდნაძეს. საქმე ისაა, რომ საქართველოში ახალი პოლიტიკური ლიდერი, სამწუხაროდ, გამოკვეთილი არ არის. ამიტომ პანკისის შემდეგ პრობლემა მაინც დარჩება, თუმცა, ნორმალურ ქვეყანაში ასეთი ფაქტის შემდეგ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. შევარდნაძის წასვლა პოლიტიკური არენიდან, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემასთანაც, რისი გადაჭრაც საქართველოს დღევანდელ ლიდერს არ შეუძლია.

**- თუ ამერიკაში ასეთი ჩამოყალიბებული პოზიციაა, მაშინ, შეიძლება, საქართველოს მომავალი ლიდერის კანდიდატურაზეც იყოს გარკვეული გათვლები. მაგალითად რუსეთში, საკმარისია, საქართველოსთან ურთიერთობა დაიძაბოს, რომ უმალ იგორ გიორგაძეს წამოატივტივებენ. თქვენი ინფორმაციით, აშშ ვის მოიაზრებს საქართველოს მომავალი ლიდერის როლში?**

- ვერ დაგეთანხმებით, რომ კრემლი სერიოზულად განიხილავს იგორ გიორგაძის კანდიდატურას და ამ ფიგურაზე სერიოზული გათვლები კეთდება. მე ვიცი ის, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი დღეს სერიოზულად არიან დაინტერესებულნი შევარდნაძის შეცვლით, მაგრამ მემკვიდრის კანდიდატურასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, ურთიერთგაგებას ვერ მიაღწიეს. დღეს ამის სათანადო რესურსი არც ვაშინგტონში გააჩნიათ და, მით უმეტეს, არც მოსკოვში. საქართველოს მომავალი ლიდერის საკითხი ამ ორ ქვეყანაში გადაწყდება, მაგრამ როდის, ამის პროგნოზირება გამიჭირდება.

**- ვთქვათ, ეს მართლაც ასეა და ერთ მშვენიერ დღეს ასეც მოხდება. თქვენი აზრით, როგორი ლიდერი უნდა მოვიდეს საქართველოში პრეზიდენტად, რათა ორი ქვეყნის ურთიერთობაში დაძაბულობა განიმუხტოს?**

- ნებისმიერი, ოღონდ - ადეკვატური, რომელიც შავს თეთრს არ დაარქმევს ან პირიქით. ვინც, პირველ რიგში, ანტირუსულ პოლიტიკას არ გაატარებს. მე მგონი, თქვენს გაზეთს ერთხელ უკვე ვუთხარი, რომ ედუარდ შევარდნაძე მსოფლიოში ერთადერთი ლიდერია, ვინც ანტირუსულ პოლიტიკას ატარებს.

**- თბილისში კი ფიქრობენ, რომ ურთიერთობათა გამწვავების პროვოცირება კრემლიდან ხდება. მაგალითად, რამდენად სერიოზული ნაბიჯი იყო რუსეთის ხელისუფლების მხრიდან "შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმების" ამოტივტივება?**

- სრული სისულელე იყო. მერწმუნეთ, შევარდნაძის გამო დღეს რუსეთი ამერიკას ტერიტორიულ პრეტენზიებს არ წაუყენებს და ამ პროვოკაციას არავითარი გაგრძელება არ ექნება.

# პაკისტანში „ალ ქაიდას" ტერორისტი დააკავეს

პაკისტანის პოლიცია შეუდგა ორგანიზაცია "ალ ქაიდას" ორი წევრის დაკითხვას, რომლებიც გასულ კვირას ყარაჩიში დააკავეს. მათგან პირველის, ოთხშაბათს დაკავებული რამზი ბინ ალ-შიბჰის ექსტრადიციას შეერთებული შტატები მოითხოვს.

ვაშინგტონს სერიოზული ეჭვი აქვს, რომ იემენის მოქალაქე ბინ ალ-შიბჰი 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი იყო. გამომძიებლების ცნობით, იგი ჰამბურგში 11 სექტემბრის ტერაქტების მთავარ ორგანიზატორთან - მოჰამად ატასთან ერთად ქირაობდა ბინას. მისი დაპატიმრების სანქცია გერმანიის პოლიციამ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, 2001 წლის სექტემბერში გასცა, მაგრამ ბინ ალ-შიბჰმა პაკისტანისთვის თავის შეფარება მოასწრო.

ბინ ალ-შიბჰის დაკავებას ვაშინგტონში მიესალმნენ. პრეზიდენტმა ბუშმა თავის რეზიდენციაში კემპ-დევიდში გუშინ განაცხადა, რომ მისი შეპყრობა ტერორიზმთან ბრძოლაში "დიდი წარმატებაა". ჯერ კიდევ იანვარში ამერიკის გენერალურმა პროკურორმა ჯონ ეშკროფტმა ტელევიზიით გამოსვლისას თქვა, რომ ბინ ალ-შიბჰი ამერიკის მიერ ძებნილი ერთ-ერთი უმთავრესი ტერორისტია.

მეორე დაკავებული არაბის გვარს ჯერ არ ახმაურებენ. იგი ყარაჩიში გუშინ, სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ დააკავეს – პოლიცია "ალ ქაიდას" სავარაუდო შტაბ-ბინას დაესხა თავს და ტერორისტის აყვანა მოახერხა. პაკისტანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გასული კვირის განმავლობაში სულ ათამდე არაბი ტერორისტი შეიპყრეს.

პაკისტანის ხელისუფლება ბოლო თვეებში ათობით რეიდს ახორციელებს "ალ ქაიდას" იმ მებრძოლების დასაკავებლად, რომლებიც ავღანეთიდან თალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგ გაიქცნენ. დღემდე პაკისტანის მთავრობამ 400-მდე "ალ ქაიდას" წევრი ან მის ტერორისტულ ქსელთან დაახლოებული პირი დააკავა, მაგრამ ბინ ალ-შიბჰი მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა.

თუ ბინ ალ-შიბჰი ამერიკის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე დათანხმდება, მაშინ ნათელი მოეფინება 11 სექტემბრის ტერაქტის ბევრ უცნობ დეტალს. არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" მიერ ხუთშაბათს გადაცემულ ვიდეოფირზე იგი აღიარებს 11 სექტემბრის ტერაქტის დაგეგმვასა და სამიზნეების არჩევაში მონაწილეობას. მისივე თქმით, თავადაც თვითმფრინავის ერთ-ერთი გამტაცებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეერთებულ შტატებში შესასვლელი ვიზის მიღება ვერ მოახერხა. ვიდეოფირზე ბინ ალ-შიბჰი აღწერს იმ სიხარულს, რომელიც მის თანამოაზრეებში სექტემბრის ტერაქტებმა გამოიწვია.

პრეზიდენტმა ბუშმა კემპ-დევიდში კიდევ ერთი განცხადება გააკეთა: "შეერთებული შტატები წინ მიიწევს ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში და შეჩერებას არ აპირებს".

# აზერბაიჯანელი კადეტების ნაწილი პროტესტს აგრძელებს

აზერბაიჯანის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები ცდილობენ, მიაჩუმათონ აზერბაიჯანის უმაღლეს სამხედრო აკადემიაში სექტემბრის დასაწყისში მომხდარი არეულობა, რასაც 2000-მდე კადეტის მიერ სამხედრო სასწავლებლის მიტოვება მოჰყვა. აკადემიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ვითარება მოწესრიგდა და კადეტების უმრავლესობა დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. ოპოზიციური პარტიები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ –კადეტთა ნაწილი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა სასწავლებელში და არც დაბრუნდება. 3 სექტემბერს ბაქოს უმაღლესი სამხედრო აკადემიის კადეტებმა დისლოკაციის ადგილი პროტესტის ნიშნად მიატოვეს. საქმე ისაა, რომ თურქი ინსტრუქტორების შემდეგ დანიშნულმა აზერბაიჯანელმა ინსტრუქტორებმა აკადემიის მსმენელებს მაშინვე ქრთამის გადახდა მოსთხოვეს. ამას საკვების ხარისხის სწრაფი გაუარესებაც დაერთო. ყოველივე ამან კადეტების მხრიდან საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია.

სააგენტო "თურანის" აზრით, აზერბაიჯანმა "ბანანის რესპუბლიკის" კიდევ ერთი ნიშანი შეიძინა – შევიდა განვითარების ისეთ ფაზაში, რომელშიც არმია, შეიძლება, მნიშვნელოვან პოლიტიკურ იარაღად იქცეს. აზერბაიჯანის ოპოზიციური პარტიები ცდილობენ, თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ არმიაში არსებული რთული ვითარება – კორუფცია, მექრთამეობა და თანხების არამიზნობრივი ხარჯვა – და შექმნილი მდგომარეობა მთავრობას და პირადად პრეზიდენტ ალიევს გადააბრალონ.

*სამართალი*

## დაუდევრობა თუ პროვოკაცია

პირველი გვერდიდან

ბუნებრივად ჩნდება აზრი, რომ ეს გაქცევა თუ გაშვება სამართალდამცველთა ჩარევის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ჩარევა მართლაც იყო - დაჭრილი ჩეჩნის პალატაში მყოფი პოლიციური დაცვა ავთანდილ თურქიაშვილის სატელეფონო ზარის საფუძველზე მოიხსნა. ეს ზარი გახდა თურქიაშვილის დაპატიმრებისა და შემდგომში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი.

გენერალური ინსპექციის უფროსის, დავით ჯინჯოლავას განცხადებით, თავად თურქიაშვილიც არ უარყოფს, რომ მან თავისი სამსახურებრივი ვალი ჯეროვნად არ მოიხადა. თუმცა, კულუარული ინფორმაციით, თურქიაშვილმა დაცვის მოხსნის ბრძანება ზემდგომისგან მიიღო. კონკრეტულად ვისგან, ამის დაზუსტება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ზემდგომი არ ყოფილა კობა ნარჩემაშვილი, თუმცა, ინფორმირებული წყაროს ცნობით, დაცვის მოხსნის შესახებ ბრძანების გამცემს შს სამინისტროში მაღალი თანამდებობა უკავია.

დავით ჯინჯოლავას თქმით, მისთვის უცნობია ის ფაქტი, თითქოს ახმეტის პოლიციის უფროსმა დაცვის მოხსნის შესახებ ბრძანება სხვისგან მიიღო. ასეც რომ ყოფილიყო, თურქიაშვილის მიერ, მინისტრის გარდა, სხვა ბრძანების დამორჩილება, ამ შემთხვევაში, დაუდევრობის ტოლფასი გახლავთ. გამოიკვეთება თუ არა ჩეჩნის გაქცევაში ვინმე სხვა სამართალდამცველის ბრალეულობა, ამას დრო გვიჩვენებს - გენერალური ინსპექცია, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პარალელურად, ინციდენტის უწყებრივ მოკვლევას აგრძელებს.

გუშინ ავთანდილ თურქიაშვილთან ადვოკატი იმ უბრალო მიზეზით არ შეუშვეს, რომ საღამომდე, ანუ საქმის აღძვრამდე, მის პატიმრობას მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელის სახე ჰქონდა. ახლა უკვე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს კახეთის სამხარეო პროკურატურა იძიებს.

რაც შეეხება თვით ჩეჩნის გაქცევას: ფაქტი ჯიუტია – ჩეჩნების მანქანის მიერ იმ ბლოკპოსტების დაუბრკოლებლად გავლას, რომლებიც უშიშროებისა და შინაგანი ჯარის ძალებითაა დაკომპლექტებული, მარტო ავთანდილ თურქიაშვილის კომპეტენცია არ ეყოფოდა. მართალია, შს მინისტრი ერიდება იმის დადასტურებას, რომ გაქცეული ჩეჩენი უკვე პანკისშია, მაგრამ მაინც ჩნდება ეჭვი, რომ ისა მურადოვის გაუჩინარებას, ვინმეს თანამდებობრივ დაუდევრობაზე მეტად, პროვოკაციის სუნი უდის – პოლიტიკურის ან უწყებრივის, ან, გნებავთ - ორივესი ერთად.

## პანკისში დაკავებული ჩეჩენი პატიმარი თბილისში ჩამოიყვანეს

თამარ კაციტაძე

მართალია, ანტიკრიმინალური ოპერაციის დროს პანკისის ხეობაში არც ერთი ჩეჩნის დაკავებას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია, მაგრამ თავად ჩეჩენ ლტოლვილთა მხრიდან ყველაზე დიდი ვნებათაღელვა პირველი ჩეჩნის - ისა ისაევის დაკავებას მოჰყვა. ორმოცდაათიოდე ლტოლვილი ინვალიდი თანამემამულის გამოსახსნელად შინაგან ჯარს დაუპირისპირდა (ისაევმა სამშობლოს დაბომბვის დროს დაკარგა ფეხი). თუმცა, იმ დროს სამართალდამცველებმა ადვილად შეძლეს ჩეჩნებთან საერთო ენის გამონახვა და ინციდენტიც განეიტრალდა.

გუშინწინ თელავის სასამართლომ ისაევს სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, რის შემდეგაც იგი თბილისში, N 5 საპყრობილეში გადმოიყვანეს.

ისაევი ოთხშაბათს ღამით დააკავეს, როცა სოფელ დუისის საგუშაგოსთან შინაგანი ჯარის წარმომადგენლებმა ავტომობილი გააჩერეს, სადაც რამდენიმე ჩეჩენი ეროვნების მამაკაცი იჯდა. მგზავრთაგან ერთ-ერთს – ისა ისაევს "მაკაროვის" სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი აღმოაჩნდა. იარაღის უკანონოდ ტარებისა და საზღვრის უკანონო გადმოლახვისთვის აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ახმეტის რაიონის შს სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებდა.

მართალია, დაპატიმრებულს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა, მაგრამ, მისი სიტყვიერი განცხადებით, იგი ლტოლვილის სტატუსით სარგებლობდა. მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, რომ დაპატიმრებული ნამდვილად გროზნოს მკვიდრი ისა ისაევია და მან სამშობლო რამდენიმე თვის წინ დატოვა. რაც შეეხება ლტოლვილის სტატუსს, ამგვარი დოკუმენტი დღემდე არავის წარმოუდგენია.

შესაბამისად, ისაევის საქმე უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილს დაექვემდებარა. თუმცა, როგორც საგამოძიებო ნაწილის უფროსმა მალხაზ სალაყაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, საქმე ჯერჯერობით საგამოძიებო ნაწილს არ მიუღია და გამოძიებას ისინი ორშაბათიდან შეუდგებიან.

## პანკისის სიღრმეში ბლოკპოსტი გაიხსნა

დაჭრილი ჩეჩნის გაქცევით ღირსებაშელახულმა პოლიციამ გუშინ წარმატებული ოპერაცია განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულია ერთადერთი ჩეჩენი, რომლის ვინაობის გამხელაც სამართალდამცველებს არ სურთ, შეიძლება ითქვას, რომ მათ, მართალია, ყოფილ, მაგრამ ნამდვილად ბოევიკთა ბაზას მიაგნეს. ოფიციალური წყაროები ასეთი შეფასების გაკეთებისგან თავს იკავებენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსი პაატა გომელაური მხოლოდ იმ ინფორმაციას იძლევა, რომლის თანახმადაც წინუბნის ოპერაციის შედეგად ამოღებულია ექვსი ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ხელყუმბარები, რაციები, "ნურსების" ჭურვები, კარვები, არაბულ ენაზე შედგენილი რუკები და რადიოსიხშირის სქემები, ისლამურ-ვაჰაბისტური ლიტერატურა და სამედიცინო დანიშნულების ნივთები.

როგორც ცნობილია, წინუბანი პანკისის ხეობაში ღრმად შეჭრილი სოფელია, რომლამდეც ქართველ სამართალდამცველებს გუშინდლამდე არ მიუღწევიათ. სოფელი ადრე ოსური მოსახლეობით იყო დასახლებული, მოგვიანებით კი, როგორც ჩანს, აქაურობას ჩეჩენი და არაბი ბოევიკები აფარებდნენ თავს. გუშინ, ოპერაციის დასრულებისთანავე წინუბანში შინაგანი ჯარებისა და უშიშროების სპეცნაწილების ძალებით დაკომპლექტებული ბლოკპოსტი გაიხსნა.

## მესტიაში დანიელები დააყაჩაღეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორი დღის წინ, მესტია-ხაიშის გზაზე, სოფელ ფართან, სვანეთის დასათვალიერებლად სამდღიანი მარშრუტით მიმავალი დანიელი ტურისტები დააყაჩაღეს. ტურისტებით სავსე "ნივას" და სამარშრუტო ტაქსს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული თავდამსხმელები გადაუდგნენ და შესაშინებლად რამდენჯერმე ჰაერში, რამდენჯერმე კი გზის მიმართულებით გაისროლეს. შეშინებულმა დანიელებმა, თარჯიმნის საშუალებით, თავდამსხმელებს ფულისა და ძვირფასეულობის ჩაბარება თავისით შესთავაზეს. თუმცა, ცოტა ხანში თარჯიმნის ჩარევა საჭირო აღარ აღმოჩნდა. ქართულად მოლაპარაკე ორ ნიღბიან დამყაჩაღებელს უცხო ენაზე საუბარი არ გასჭირვებია. დანიელებსა და მათ შორის შეთანხმება შედგა: თავდამსხმელები ნაყაჩაღარ ნადავლს მშვიდად წაიღებდნენ და ტურისტებს უვნებლად დატოვებდნენ.

3 ათასი ამერიკული დოლარი, ოქროს საათები, ბეჭდები, ყელსაბამები და ძეწკვები ათმა დანიელმა ავტომატებით შეიარაღებულ ნიღბიან ყაჩაღებს ჩააბარა.

მოლაპარაკების შესაბამისად, უცხო ენაზე მოსაუბრე ქართველმა თავდამსხმელებმა სტუმრები უვნებლად დატოვეს, თუმცა, მათ "ნივაც" წაართვეს და გაუჩინარდნენ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთი კილომეტრის მოშორებით, ყაჩაღებს გატაცებული ავტომანქანა ტალახში ჩაეფლო, მაგრამ მის ამოყვანაზე თავი აღარ შეუწუხებიათ, დრო არ დაკარგეს და გზა ფეხით განაგრძეს.

დანიელმა დაზარალებულებმა მესტიის რაიონის პოლიციას ჩვენებები მომხდარიდან ორ საათში მისცეს.

"ორივე გამხდარი იყო. ერთი მაღალი, მეორე – დაბალი", - ასე დაახასიათეს ტურისტებმა მძარცველები. სვანი პოლიციელები, უკვე მესამე დღეა, დამნაშავეებს ამ აღწერილობის მიხედვით ეძებენ.

**"სვანები აღშფოთებულები და შეურაცხყოფილები არიან მომხდარით. არადა, ამ ინციდენტის თავიდან აცილება ნამდვილად შეიძლებოდა, რადგან დაყაჩაღება იმ ტერიტორიაზე მოხდა, რომელიც კონტროლს ექვემდებარება. უცხოელები აქ დაცვის გარეშე არ უნდა გამოეტარებინათ. ჩვენ არავინ ჩაგვაყენა საქმის კურსში, რომ ამ კლდე-ღრეში სტუმრად ათკაციანი ტურისტული ჯგუფი მოდიოდა. რომ გვცოდნოდა, მათ ვერავინ დააყაჩაღებდა",** - გვითხრა მესტიის პოლიციის უფროსმა გურამ გულბანმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ დაყაჩაღებულ ნივთებს პატრონებს დაუბრუნებს. **"სვანები ამ საქმეს ასე არ დატოვებენ,"** – აცხადებს იგი.

# შენთვის რა არის მცხეთა, ძმაო!

პირველი გვერდიდან



*მამა ზენონი და ავთანდილ ჭორბენაძე.* ლევან ხერხეულიძის ფოტო

შაიშმელაშვილმა პროექტი იმდენად საფუძვლიანად წარმოადგინა, რომ დამსწრე საზოგადოებაში მისი პრეზენტაციის შთაბეჭდილება შეიქმნა. სინამდვილე მხოლოდ სტუმრების წასვლის შემდეგ გახდა ცნობილი, როცა მამა ზენონმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა და წარმოდგენილი პროექტი უარყოფითად შეაფასა. სვეტიცხოვლის წინამძღვარს მიაჩნია, რომ, ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, უპრიანი იქნებოდა ტენდერის გამოცხადება და საუკეთესო ვარიანტის ერთობლივად შერჩევა. მაგრამ ეს მაინც მომავლის საქმეა. დღეს მცხეთელებს ხმაური და სარესტორნე მუსიკის მძვინვარება აწუხებთ და მამა ზენონმაც ამ საკითხის ირგვლივ ისაუბრა:

**"მცხეთა ქრისტიანობის ცენტრია. იგი ოდითგანვე საპატრიარქო ქალაქი იყო და მთელი მსოფლიოს საგანძურს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ უნდა დავიცვათ იგი ხელყოფისაგან, რომლითაც მას თანამედროვეობა ემუქრება. დღეს კი აქ ხელაღებული მშენებლობები მიმდინარეობს და 24 საათის განმავლობაში ხმაურიანი მუსიკა ისმის. ზოგიერთს თუ ჰგონია, რომ სვეტიცხოველი მხოლოდ ხედია, რომელმაც შემოსავალი უნდა მოუტანოს, მწარედ ცდება. ეს შეურაცხყოფაა და ამის მოთმენა არ შეიძლება".**

ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრმა ადგილობრივ ხელისუფლებას დაავალა, რესტორნების რეგლამენტირება და მათთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება, რათა მოსახლეობა ქეიფის მოყვარულებმა არ შეაწუხონ.

**"ბოლოს და ბოლოს ხმაურთან დაკავშირებით საერთაშორისო ნორმებიც არსებობს, რომლებიც ჩვენც უნდა დავიცვათო,"** – ბრძანა სახელმწიფო მინისტრმა.

ჩვენი გაჭირვებული მოქალაქეების ყურებს რომ შევეშვათ, თავი მთელ მსოფლიოშიც გვეჭრება, როცა ქრისტეს კვართის სავანეში ჩამოსულ სტუმრებს აღმოსავლურ ჰანგებს ვასმენინებთ.

*ეკონომიკა*

# კიდევ ერთი სასამართლო დავა უცხოური კომპანიის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

**"აღნიშნული ტვირთაგადამზიდები, ხშირ შემთხვევებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ეკუთვნით. მათ წუთებში აქვთ გამოთვლილი თავიანთი მატარებლების მარშრუტების ხანგრძლივობა და უკან დაბრუნების ვადები. ამიტომ, როცა ჩვენს რკინიგზებზე ხდება ვაგონების შეყოვნება, ისინი ყოველ მოცდენილ საათში შვიდი შვეიცარიული ფრანკის გადახდას ითხოვენ. ამჟამად, საქართველოს რკინიგზას დაგროვლი აქვს 18 მილიონი ლარის დავალიანება,"** – აცხადებს გიორგი ნადარეიშვილი.





*"კონტრაქტის გარეშე ამგვარი საქმეები ცივილიზებულ სამყაროში არ ხორციელდება".* გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"ნეფტრანს ჰოლდინგის" დირექტორის განცხადებით კი, საქართველოს რკინიგზასა და მის კომპანიას შორის არ არსებობს არანაირი კონტრაქტი, რის საფუძველზეც ბათუმის ტერმინალი ვალდებული იქნება, ბაქოდან ბათუმში მომავალი ნავთობპროდუქტების გადამზიდი ნებისმიერი მატარებელი დაუყოვნებლივ დაცალოს. მარკ როუდსი აცხადებს, რომ წინასწარი შეტყობინებისა და კონტრაქტის გარეშე ამგვარი საქმეები ცივილიზებულ სამყაროში არ ხორციელდება. ამიტომ იგი დაუყოვნებლივ მოითხოვს საქართველოს რკინიგზასთან კონტრაქტის გაფორმებას. თუმცა მიუთითებს, რომ მათი მრავალგზის ინიციატივის მიუხედავად, საქართველოს რკინიგზა "ნეფტრანს ჰოლდინგთან" ხელშეკრულების გაფორმებას არ ჩქარობს. მარკ როუდსმა საქართველოს პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა, სადაც იგი დახმარებას სთხოვს ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რკინიგზასთან ურთიერთობის დარეგულირებაში.

საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის მოადგილე ტარიელ ლვაბერიძე კი აცხადებს, რომ მათ ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ "ნეფტრანს ჰოლდინგის" შვილობილ კომპანია "ალეგრატრანსთან".

**"ჩვენ სასამართლო დავა სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოვიგეთ. რადგან ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო ბათუმის ტერმინალის ვალდებულება ტვირთების მიღების თაობაზე,"** – აცხადებს ტარიელ ლვაბერიძე. ხოლო რაც შეეხება "ნეფტრანს ჰოლდინგის" მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტს, ლვაბერიძის თქმით, ეს მათთვის მიუღებელია.

"ნეფტრანს ჰოლდინგი" საქართველოში 1999 წელს შემოვიდა და ბათუმის ტერმინალისა და "ალეგრატრანსის" პრივატიზაცია განახორციელა. სამწლიანი საინვესტიციო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნულმა კომპანიამ 35 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. აჭარის უზენაეს სასამართლოში წაგებული საქმე ბრიტანულმა კომპანიამ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელმა კი დავა, ხელახლა განსახილველად, ისევ აჭარის უზენაეს სასამართლოს დაუბრუნა. "ნეფტრანს ჰოლდინგის" ხელმძღვანელობა მათი კომპანიის საქმიანობას საქართველოში წარმატებულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ თუ საქართველოში თავიანთი სიმართლის დამტკიცება ვერ შეძლეს, მაშინ საერთაშორისო სასამართლოს მიმართავენ.

## ქართულ „ბოინგებს" ტექნიკური შემოწმებისთვის გერმანიაში ფრენა აღარ დასჭირდებათ

სოფიკო ოხანაშვილი

*ავიაკომპანია "აირზენას" ინიციატივით, ამერიკული საავიაციო კორპორაცია "ბოინგი" საქართველოში ბოინგის თვითმფრინავების მომსახურებისათვის ცენტრის აშენებას აპირებს. მშენებლობისთვის ადგილი უკვე შერჩეულია. ამიერკავკასიის ბოინგების ტექნიკურ მდგომარეობაზე თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე ამოქმედებული ახალი ტექნიკური ცენტრი იზრუნებს.*

თბილისში მყოფმა "ბოინგის" სამკაციანმა ჯგუფმა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ხელმძღვანელობისგან მშენებლობაზე თანხმობა მიიღო და მომავალი პროექტისთვის აუცილებელი ტექნიკური მონაცემები შეაგროვა. **"ჩვენი როლი ამ საქმეში იმით შემოიფარგლა, რომ თანხმობა მივეცით "ბოინგის" წარმომადგენლებს მშენებლობის დაწყებაზე. დანარჩენი ავიაკომპანია "აირზენას" საქმეა, იმიტომ რომ მოლაპარაკებებს უშუალოდ ის აწარმოებს",** - განაცხადა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ზურაბ ჭანკოტაძემ. მისი ინფორმაციით, "ბოინგის" ხელმძღვანელობამ უნდა წარმოადგინოს განზრახულობათა მემორანდუმის პროექტი, რომელსაც ქართული მხრიდან ხელს მოაწერენ – ავიაკომპანია "აირზენა" და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, ხოლო ამერიკის მხრიდან – კორპორაცია "ბოინგი" და აშშ-ს ფედერალური საავიაციო ადმინისტრაცია.

"ბოინგის" თვითმფრინავების მომსახურებისათვის ცენტრის აშენების შესახებ, უკვე ორი წელია, საუბრობენ. **"ადრეც ჩამოდიოდნენ დელეგაციები, მაგრამ მათი ვიზიტი დათვალიერებით შემოფარგლებოდა, მაგრამ ამჯერად ამერიკიდან ჩამოსული იყო უკვე მუშა ჯგუფი და იმედი გვაქვს, რომ ეს პროექტი ახლა მაინც განხორციელდება",** - განაცხადეს "აირზენას" პრესსამსახურში.

"აირზენაში" აღნიშნავენ, რომ "ბოინგის" თვითმფრინავებისთვის ტექნიკური ცენტრის აშენების ინიციატივა ავიაკომპანიაიის ხელმძღვანელობას ეკუთვნის. **"ეს ბუნებრივიცაა, იმიტომ რომ ამიერკავკასიაში, საქართველოს გარდა, ბოინგის თვითმფრინავები არავის აქვს, მაგალითად სომხეთში Airbus-ის თვითმფრინავებს იყენებენ, ამიტომ ბუნებრივია, რომ ცენტრი საქართველოში იქნება. გერმანიაში არსებობს დიდი ტექნიკური ცენტრი, სადაც, ყოველ სამ თვეში ერთხელ, ჩვენს თვითმფრინავებს ამოწმებენ, რაც დიდძალ თანხებთანაა დაკავშირებული. თუ ეს პროექტი განხორციელდა, ჩვენი კომპანიის ხარჯების საგრძნობლად შემცირების გარდა, ამიერკავკასიის ქვეყნების ავიაკომპანიებიც მოგებულები დარჩებიან. რეგიონის ავიაკომპანიათა თვითმფრინავები ტექნიკური შემოწმებისთვის ევროპაში კი არ იფრენენ, არამედ – თბილისში",** - აღნიშნავენ "აირზენაში".

ამჟამად, ავიაკომპანია "აირზენას" განკარგულებაშია გერმანული კომპანია "ჰაპაკ ლოიდისაგან" ლიზინგის წესით შეძენილი "ბოინგის" ორი თვითმფრინავი.

"აირზენას" რეისების რიცხვს, კორპორაცია "ბოინგის" დახმარებით, ახალი მარშრუტიც დაემატება. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ამერიკული მხარე თავის თავზე იღებს კადრების გადამზადების ხარჯებს და ამასთანავე ვალდებულებას, რომ "აირზენას" აშშ-ში რეისის განხორციელებაში დაეხმარება. **"მოლაპარაკების თანახმად, ამერიკული მხარე "აირზენას" ამერიკის რეისების ათვისებაში შეუწყობს ხელს. ასევე კორპორაცია "ბოინგი" იღებს ვალდებულებას, რომ ქართველი სპეციალისტები თავისი ხარჯებით გადაამზადოს. სწავლების შემდეგ ისინი საერთაშორისო სერთიფიკატებს მიიღებენ. ამის პრეცედენტი უკვე გვაქვს, სამი წლის წინ "ბოინგმა" თავისი ხარჯებით მთელი ეკიპაჟი გადაამზადა, რაც ორი მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა",** - განაცხადეს ქართულ ავიაკომპანიაში.

ამ ეტაპზე, "აირზენა" ცენტრის მშენებლობის ღირებულების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს. პროექტის ღირებულებაზე საუბარი შესაძლებელი იქნება ბიზნეს-გეგმის შემუშავების შემდეგ. თუმცა, ქართულ კომპანიაში იმასაც აღნიშნავენ, რომ პროექტის განხორციელებაში ინვესტიციებს ორივე მხარე ჩადებს.

## ევროგაერთიანება და ამერიკა სავაჭრო ომის ზღურბლზე

თორნიკე შარაშენიძე

ევროგაერთიანებამ გამოაქვეყნა ამერიკული პროდუქტების სია, რომელთა წინააღმდეგ შესაძლოა, ძველმა კონტინენტმა სანქციები გამოიყენოს. როგორც ცნობილია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ აშშ დამნაშავედ ცნო ექსპორტისათვის უკანონო შეღავათების მინიჭებაში და ევროგაერთიანებას ნება დართო, ოთხი მილიარდი დოლარის ღირებულების სანქციები დაადოს ამერიკას.

სია ერთობ ვრცელია. იგი მოიცავს სრულ სპექტრს, დაწყებულს ატომური რეაქტორის ნაწილებიდან, დამთავრებულს საღეჭი რეზინით. იმისათვის, რათა ჯარიმის გადახდა თავიდან აიცილოს, ბუშის ადმინისტრაციამ როგორმე უნდა დაარწმუნოს კონგრესი, რომ ამ უკანასკნელმა ერთობ არაპოპულარული ნაბიჯი გადადგას – გააუქმოს ამერიკულ კომპანიებს საგადასახადო შეღავათები ექსპორტზე, რისი წყალობითაც მათი საქონელი ხელოვნურად იაფი და კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ ვაშინგტონი ამ პრობლემის გადაწყვეტას ხმაურის გარეშე, მოლაპარაკებების გზით იმედოვნებდა. ამიტომ სიის გამოქვეყნება მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოსათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თეთრი სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა საკმაოდ აგრესიული ტონით განაცხადა, რომ ევროგაერთიანების გადაწყვეტილებას შესაძლოა, ორივე მხარისათვის უსიამოვნო შედეგები მოჰყვეს – თუკი ძველი კონტინენტი უფრო შორს წავა და "შავ სიაში" შეტანილი პროდუქტების წინააღმდეგ მართლაც შემოიღებს სანქციებს, მაშინ აშშ ვალში არ დარჩება და თავის მხრივ, ევროპულ კომპანიებსაც შეუქმნის პრობლემებს.

მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ევროგაერთიანება ასეთ კონფრონტაციაზე წავიდეს. "ეს ყველაფერი მხოლოდ იმისათვის კეთდება, რომ აშშ-ში კარგად გააცნობიერონ შექმნილი ვითარება და ჩვენს კანონიერ ინტერესებს ანგარიში გაუწიონ," – აცხადებს ევროკომისიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. თუმცა, ვითარება არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. საქმე ისაა, რომ ბუშის ადმინისტრაცია – უკვე დიდი ხანია, ცდილობს ექსპორტზე შეღავათების გაუქმებას, მაგრამ კონგრესი, რომლის წევრთა უმრავლესობაც მსხვილ კორპორაციათა ინტერესების ლობირებას ეწევა, ჯერჯერობით, ყურს არ იბერტყავს. ბუშს საკუთარი, რესპუბლიკური პარტიაც კი არ უჭერს მხარს ამ საკითხში.

ამდენად, თუკი ბუში ვერაფერს შეაგნებინებს კონგრესს, მაშინ ამერიკამ სხვა გზა უნდა აირჩიოს – ან ევროპულ კომპანიებს უნდა მისცეს რაიმე სახის შეღავათები, ან უნდა მიმართოს მუქარებსა და საბოტაჟს, რაც მშვენივრად ეხერხება. ეს კარგად გამოჩნდა ფოლადზე ტარიფების გარშემო ატეხილი ომის დროსაც.

შეიძლება, განვითარდეს აქამდე არნახული მასშტაბის სავაჭრო ომი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ უპრეცედენტო სანქციების შემოღებას მოჰყვება. თუმცა, ეს ომი ევროპაში ნამდვილად არ სურთ, რადგან კარგად ესმით, რომ აშშ-სთან ჭიდილი და მისი გაღიზიანება არ ღირს, მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ისედაც საკმაოდ გაღიზიანებულია და დამცირებულად გრძნობს თავს სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილების გამო. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, კონგრესი, ჯერჯერობით, დათმობას არ აპირებს. როგორი რეაქცია ექნება მას "შავი სიის" გამოქვეყნებაზე, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

ამერიკული პროდუქტების "შავ სიაში" დასახელებულია: ატომური რეაქტორის დეტალები, საკონდიტრო ნაწარმი, ხორბლის ნაწარმი, ლერწმის შაქარი, საღეჭი რეზინი.

www.24hours.ge 24 B

"ჩვეულებრივი" ისტორია

# ნუგზარ ჯუღელის ახალი ამპლუა

მიხეილ აბაიშვილი
ბაზელი - თბილისი

ბატონ ნუგზარ ჯუღელთან დაკავშირებით, ალბათ, ბევრი კურიოზული ამბავი გსმენიათ, ზოგი მართალი, ზოგიც – გამოგონილი, რაც ამ ადამიანის პოპულარობაზე მეტყველებს. დღეს გიამბობთ კიდევ ერთ ამბავს, რომელსაც პირადად შევესწარი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ბატონი ნუგზარის ამოუწურავ შესაძლებლობებში.

### ექსკურსიამძღოლი

ჩვენთვის ავადსახსენებელ შვეიცარიისა და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩზე დასასწრებად და ჩვენი გუნდის მხარდასაჭერად შვეიცარიაში 50-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. ჯგუფი შედგებოდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ბომონდის წარმომადგენლებისგან, ანუ იმ ხალხისგან, ვისაც ფული და ძალაუფლება აქვს (მათი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ). ჯგუფი ციურიხში, ერთ-ერთ სასტუმროში გაჩერდა, თამაში კი, მოგეხსენებათ, ბაზელში უნდა გამართულიყო. შეხვედრა დასავლეთევროპული დროით 4 საათზე იყო დანიშნული. გულშემატკივრებმა, წინასწარ დაქირავებული ავტობუსით, მატჩის დაწყებამდე სამი საათით ადრე, ბაზელისკენ აიღეს გეზი. ამ ორ ქალაქს შორის მანძილი 80 კილომეტრია. ციურიხსა და ბაზელს შორის მგზავრობისას ექსკურსიამძღოლობა ნუგზარ ჯუღელმა იკისრა.

### ბუკმეკერი

მალე, ციურიხიდან ავტოსტრადაზე გასვლამდე, ჯუღელს გიდის ამპლუა მობეზრდა და "მგზავრებს" იმპროვიზებულ ტოტალიზატორში ფსონის დადება შესთავაზა. ბატონი ნუგზარის წესებით, ფსონი მიიღებოდა მხოლოდ ანგარიშის გამოცნობაზე. განისაზღვრა ერთ ანგარიშზე ფსონისთვის აუცილებელი თანხაც – 20 შვეიცარიული ფრანკი. საზოგადოება აზარტული აღმოჩნდა – ჯუღელის ტოტალიზატორში თამაში ყველამ მოინდომა.



გია გელაშვილის ნახატი

სამართლიანობის პრინციპის დაცვა და შემოსული თანხის კონტროლი შესაბამისი უწყების წარმომადგენელს – კონტროლის პალატის ერთ მაღალჩინოსანს დაევალა. აიკრიბა ფული, ხოლო ფსონის მიმღებმა კომისიამ ავტობუსის რიგებს შორის ჩამოატარა ფურცელი, რომელზეც მგზავრებმა, ვინაობასთან ერთად, ანგარიშის პროგნოზი დააფიქსირეს. საპრიზო ფონდმა 500 შვეიცარიული ფრანკი (დაახლოებით, 750 ლარი) შეადგინა. წესების მიხედვით, ვინც გამოიცნობდა მომავალი თამაშის ანგარიშს, მთელ თანხასაც ის მიიღებდა. თუ შედეგს ორი მოთამაშე გამოიცნობდა, თანხაც ორ ნაწილად გაიყოფოდა და ასე შემდეგ. კრუპიემ – ბატონმა ნუგზარმა, მიიღო საპრიზო ფონდი ანგარიშების "უსტართან" ერთად და მათი საჯაროდ გამოცხადება დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, შეკრებილთა შორის ოპტიმისტები ჭარბობდნენ. მხოლოდ ექვსი თუ შვიდი ფსონი დაიდო საქართველოს ნაკრების დამარცხებაზე, ისიც მინიმალური ანგარიშით (0:1, 1:2, 2:3). დანარჩენებმა ფრე ან საქართველოს ნაკრების გამარჯვება ივარაუდეს. ბოლო სიტყვის, უფრო სწორად, ბოლო ფსონის უფლება ბატონმა ნუგზარმა თავისთვის დაიტოვა.

### ორაკული

ავტობუსი ბაზელს უახლოვდებოდა, როდესაც ჯუღელმა თამაშის მონაწილეებს ტირადით მიმართა: "შეიძლება თქვენ სამშობლოს მოღალატედ ჩამთვალოთ, მაგრამ, მერწმუნეთ, პატრიოტიც ვარ, ჩემი ხალხიც ძალიან მიყვარს და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებს ვგულშემატკივრობ. მაგრამ, რა ვქნა, როგორც პროფესიონალი, ვაცხადებ, რომ დღეს საქართველოს ნაკრები დამარცხდება, თანაც, დამარცხდება ანგარიშით 1:4. საქართველოს მიმართ ჩემს ერთგულებაში ეჭვი რომ არ შეგეპაროთ, თუ მე მოვიგებ, მთელ თანხას საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში გადავრიცხავ."

ჯუღელის ამ არაპატრიოტულმა ფსონმა გულშემატკივართა სერიოზული რისხვა გამოიწვია. პარლამენტარებმა მაშინვე მოითხოვეს, ბატონი ნუგზარის ავტობუსიდან ჩასმის საკითხი კენჭისყრაზე დაგვეყენებინა, მაგრამ, იმის გამო, რომ ავტობუსის სავარძლებს პოზიციის დასაფიქსირებელი პულტები არ ჰქონდა, ამ იდეაზე უარი თქვეს. ისმოდა სხვა წინადადებებიც, რომელთა აქ მოტანას აზრი არა აქვს, რადგან რედაქციის ცენზურას მაინც ვერ გადაურჩება.

### ქველმოქმედი

ასეა თუ ისე, ნუგზარ ჯუღელი უხიფათოდ გადაურჩა ამ სიტუაციას არა მხოლოდ თამაშის დაწყებამდე, არამედ თვით მატჩის დასრულების, ანუ ჯუღელის "სატანისტური" პროგნოზის ახდენის შემდეგაც. ბატონმა ნუგზარმა მატჩის შემდეგ თქვა: "მხოლოდ ის გამიხარდა, რომ თავი ნამდვილ საფეხბურთო სპეციალისტად ვიგრძენი".

ამ ამბავს კი ერთი სიკეთე მაინც მოჰყვება: რა თქმა უნდა, ბატონი ნუგზარი სიტყვას არ გადავა და საქართველოს ნაკრების სამარცხვინო წაგებაზე მოგებული ფულით საკათედრო ტაძრის მშენებლობას შეეწევა.

რაგბი

# უძლეველი დათვი



ბათუმელები შეტევაში
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პაატა თოთაძე

გუშინდლამდე საქართველოს ჩემპიონატს რაგბიში ორი დაუმარცხებელი გუნდი ჰყავდა: "ყოჩები" და "დათვები 1". ამიერიდან ასეთი მხოლოდ ერთია – ბათუმის "დათვები 1". გუშინ ბათუმელებმა ჩემპიონატის მესამე ტურში სწორედ "ყოჩები" დაამარცხეს - 35:0. ანგარიშიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, როგორი თამაშიც იყო. ბათუმელები მთელი მატჩის მანძილზე სრულ უპირატესობას ფლობდნენ და მეტოქეს ოთხი ლელოც გაუტანეს. ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, "დათვებს" ჩემპიონის ტიტულს ვერავინ შეეცილება.

აღსანიშნავია, რომ გუნდს საფრანგეთიდან დაბრუნებული კახა მაჩიტიძე შეუერთდა. რაგბის სამყაროში მას წარდგენა არ სჭირდება. დანარჩენებისთვის კი ვიტყვით, რომ იგი გუნდის სული და გულია. კიდევ ერთი სიახლე: ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ბათუმელები ახლო მომავალში, შესაძლოა, კიდევ ერთი უმაღლესი კლასის სპორტსმენით - არჩილ ქავთარაშვილით გაძლიერდნენ. ყველაფერი კლუბის ხელმძღვანელობასა და მორაგბეს შორის მოლაპარაკების შემდეგ გახდება ცნობილი.

ბათუმელთა მეორე გუნდი თბილისის "ლოკომოტივს" მასპინძლობდა. ამ მატჩამდე საქართველოს ჩემპიონს ქულა არ ჰქონდა, უფრო სწორად, 1 ქულა ჰქონდა (რაგბის კავშირმა "ლოკომოტივს" ჩემპიონატში მონაწილეობისთვის დაწესებული 1500 ლარის გადაუხდელობის გამო პირველ ტურში წაგება ჩაუთვალა და ქულაც ჩამოაკლო). გუშინ "ლოკომოტივმა" პირველი ქულა მოიპოვა - "დათვები 2" 19:9 დაამარცხა. მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ბათუმელები 9:5 იგებდნენ, თუმცა, სტუმართა ოსტატობამ და გამოცდილებამ თავისი ქნა, რაც თბილისელთა მიერ გატანილი ორი ლელოთი გამოიხატა.

ქუთაისში ადგილობრივმა "აიამ" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს სძლია - 24:10 და დატოვა იმ ერთადერთ გუნდად, რომელსაც მოგებისთვის გემო არ გაუსინჯავს.

კალათბურთი

# ორჯერ ამერიკაში



არვიდას საბონისი

ლეგენდარული ლიტველი არვიდას საბონისი ამერიკაში ბრუნდება და ერთწლიანი შესვენების შემდეგ თავის კარიერას "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსში" გააგრძელებს. ეს გადაწყვეტილება ლიტველმა გიგანტმა ახლახან, საბოლოოდ მიიღო და კვირის ბოლომდე ერთწლიან კონტრაქტსაც გააფორმებს.

"პორტლენდმა" თავისი დიდი ცენტრის გარეშე იმდენად მოიწყინა, რომ საბონისს უაღრესად სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. "საბასი" წელიწადში 7 მილიონ დოლარს მიიღებს და ამას გარდა უფლება ექნება, მოედანზე მხოლოდ 20-25 წუთი დაჰყოს. ასეთ კონტრაქტს NBA-ში ბევრი ინატრებდა, მაგრამ ლიტველი ამად ღირს – აღიარებენ "პორტლენდის" გულშემატკივრები.

"ჩვენ ქომაგებს კარგი საჩუქარი გავუკეთეთ. ყველა პრინციპული საკითხი უკვე შეთანხმებულია. დარჩა მხოლოდ გარკვეული ფორმალობები, რომლებსაც კვირის ბოლომდე მოვაგვარებთ", – განაცხადა "პორტლენდის" პრეზიდენტმა ბობ უიტსიტმა. დაახლოებით ორი თვის წინათ კალათბურთელმა რამდენიმე მიწვევა მიიღო, როგორც ძველი ("ჟალგირისი", "უნიკახა", "რეალი"), ისე ახალი კონტინენტიდან ("ლოს ანჯელეს ლეიკერსი"), თუმცა პასუხის გაცემას არ ჩქარობდა.

საბონისმა თავისი ყოფილი კლუბის "პორტლენდისგან" წინადადება აგვისტოს შუა რიცხვებში მიიღო. "პორტლენდში ჩასვლისთანავე ვიგრძენი, რომ აქ ჩემთვის ყველაფერი ნაცნობია და თავს კომფორტულად ვგრძნობ. თანაც ლაპარაკიც არ სჭირდება იმას, რომ NBA მსოფლიოს უძლიერესი ლიგაა", – განაცხადა საბონისმა, რომელსაც ესპანური "უნიკახა" ევროპისთვის უპრეცედენტო წინადადებას სთავაზობდა. 10 მილიონი დოლარი ორ სეზონში და პლუს ყოველწლიური ხარჯი კაუნასში საბონისის საკალათბურთო სკოლის დასახმარებლად.

ამ წინადადებამ, ბუნებრივია, დააფიქრა ლიტველის აგენტი ჰერბ რუდოი, რომელიც "პორტლენდისთვის" თანხმობის მიცემას არ ჩქარობდა... მაგრამ საბონისმა nba აირჩია და დაჟინებით მოითხოვა ერთწლიანი კონტრაქტი. "ერთი წელიწადი ნათლად დამანახებს, რამდენად შევძლებ კალათბურთის თამაშს", – თქვა "საბასმა".

ლიტველმა "პორტლენდის" პრეზიდენტთან და სამწვრთნელო შტაბთან ერთად ისადილა და ტუალატინის ბაზაზე თანაგუნდელებთან ერთად ერთსაათიანი ვარჯიში ჩაატარა. საბონისს რა ესწავლება. მან კლუბის მწვრთნელ მორის ჩიკსზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა "შარშანდელთან შედარებით საბონისი გაჯანსაღებული და გაახალგაზრდავებული ჩანს, – ამბობს ჩიკსი. – ვიმედოვნებ, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება. მისი გამოჩენა "პორტლენდს" მნიშვნელოვნად გააძლიერებს". კლუბის მცველი დეიმონ სტაუდმაირი მიიჩნევს, რომ "საბონისს ძალუძს, მეტოქის ფარქვეშ მარტომ აკეთოს ფანტასტიკური ტრიუკები. იგი დღესაც NBA-ის საუკეთესო ცენტრად რჩება".

NBA-ის წესის თანახმად, საბონისის შემთხვევაში ეგრეთ წოდებული ლარი ბერდის შესწორება მოქმედებს, რომლის მიხედვითაც მოთამაშის ხელფასი, რომელმაც ერთი და იგივე კლუბის შემადგენლობაში სამი და მეტი სეზონი გაატარა, საერთო გუნდურ სახელფასო ლიმიტში არ ჯდება და შეიძლება, განუსაზღვრელი იყოს. ამიტომ "ჟალგირისის" დირექტორი გინოს რუტკაუსკასი ვარაუდობს, რომ საბონისმა, "პორტლენდში" თავისი თამაშით, შეიძლება არა 7 მილიონი, არამედ მეტიც კი გამოიმუშაოს.

შეგახსენებთ, რომ არვიდას საბონისმა "პორტლენდის" შემადგენლობაში ექვსი სეზონი გაატარა და საშუალოდ, თამაშში 13,7 ქულასა და 7,9 მოხსნას ახერხებდა. წლევანდელ სეზონში "პორტლენდის" ხელმძღვანელობა, შეთანხმების თანახმად, ლეგენდარული კალათბურთელის, თითოეულ მატჩში, მხოლოდ 20-25 წუთით გამოყენებას ფიქრობს, მაგრამ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ასეთი ხელსაყრელი პირობებიც კი ვერ აიძულებს საბონისს, ამერიკაში ერთ წელიწადზე დიდხანს დარჩეს. მას ესპანეთში ცოლი და ოთხი შვილი ელოდება. ამას გარდა, ევროპიდან გამომგზავრებამდე იგი "ჟალგირისის" ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ დაჰპირდა, რომ სპორტულ კარიერას თავისი სიჭაბუკის გუნდში – კაუნასის "ჟალგირისში" დაასრულებს.

ფეხბურთი

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების შედეგები

ესპანეთის ჩემპიონატი
მეორე ტური

| 14 სექტემბერი | | |
|---|---|---|
| მალაგა | 2 - 1 | რაიო ვალეკანო |
| ოსასუნა | 1 - 2 | დეპორტივო |
| ბილბაო | 0 - 2 | ბარსელონა |
| ვალენსია | 3 - 0 | რეკრეატივო |
| ბეტისი | ? - ? | რეალი |
| დღეს გაიმართება | | |
| ალავესი | ? - ? | სანტანდერი |
| ესპანიოლი | ? - ? | სოსიედადი |
| სელტა | ? - ? | მაიორკა |
| ვალიადოლიდი | ? - ? | ვილარეალი |
| ატლეტიკო | ? - ? | სევილია |

ინგლისის ჩემპიონატი
მეექვსე ტური

| 14 სექტემბერი | | |
|---|---|---|
| ლიდსი | 1 - 0 | მანჩესტერი |
| ბოლტონი | 2 - 3 | ლივერპული |
| ჩარლტონი | 0 - 3 | არსენალი |
| ჩელსი | 3 - 0 | ნიუკასლი |
| ევერტონი | 2 - 1 | მიდლსბრო |
| სანდერლენდი | 0 - 3 | ფულჰემი |
| ვესტ ბრომვიჩი | 1 - 0 | საუთჰემპტონი |
| დღეს გაიმართება | | |
| მან. სიტი | ? - ? | ბლეკბერნი |
| ტოტენჰემი | ? - ? | ვესტ ჰემი |
| ხვალ გაიმართება | | |
| ბირმინგემი | ? - ? | ასტონ ვილა |

პორტუგალიის ჩემპიონატი
მესამე ტური

| 14 სექტემბერი | | |
|---|---|---|
| უნიაო ლეირია | 1 - 0 | ბეირა მარი |
| მორეირენსე | 2 - 3 | ბენფიკა |
| პაკოს ფერეირა | 4 - 0 | სპორტინგი |
| დღეს გაიმართება | | |
| ნასიონალი | ? - ? | მარიტიმუ |
| ვარზიმი | ? - ? | ბრაგა |
| სანტა კლარა | ? - ? | ბელენენსეში |
| პორტო | ? - ? | ჟილ ვისენტე |

შოტლანდიის ჩემპიონატი
მეშვიდე ტური

| 14 სექტემბერი | | |
|---|---|---|
| სელტიკი | 1 - 0 | ჰიბერნიანი |
| დანდი იუნ. | 1 - 2 | დანფერმლაინი |
| კილმარნოკი | 2 - 2 | აბერდინი |
| ლივინგსტონი | 0 - 2 | რეინჯერსი |
| პარტიკი | 1 - 1 | დანდი |
| დღეს გაიმართება | | |
| ჰარტსი | ? - ? | მოზერველი |

იტალიის ჩემპიონატი
პირველი ტური

| 14 სექტემბერი | | |
|---|---|---|
| ბოლონია | 2 - 1 | რომა |
| ინტერი | 1 - 0 | ტორინო |
| კომო | 0 - 2 | ემპოლი |
| მოდენა | 0 - 3 | მილანი |
| დღეს გაიმართება | | |
| იუვენტუსი | ? - ? | ატალანტა |
| ლაციო | ? - ? | კიევო |
| უდინეზე | ? - ? | პარმა |
| პერუჯა | ? - ? | რეჯინა |
| ბრეშა | ? - ? | პიაჩენცა |

გერმანიის ჩემპიონატი
მეხუთე ტური

| 14 სექტემბერი | | |
|---|---|---|
| არმინია | 0 - 1 | ჰერტა |
| ლევერკუზენი | 1 - 3 | ჰანოვერი |
| დორტმუნდი | 1 - 1 | შალკე |
| კოტბუსი | 0 - 1 | ვერდერი |
| მიონხენგლადბახი | 1 - 1 | შტუტგარტი |
| მიუნხენ 1860 | 2 - 2 | ვოლფსბურგი |
| ნიურნბერგი | 1 - 2 | ბაიერნი |
| დღეს გაიმართება | | |
| ბოხუმი | ? - ? | ჰანზა |
| ჰამბურგი | ? - ? | კაიზერსლაუტერნი |

ჰოლანდიის ჩემპიონატი
მეოთხე ტური

| 14 სექტემბერი | | |
|---|---|---|
| აიაქსი | 2 - 0 | ზვოლე |
| ექსელსიორი | 4 - 2 | გრონინგენი |
| ეინდჰოვენი | 4 - 0 | ვალვაიკი |
| ჰერენვენი | 0 - 2 | ბრედა |
| ვილემ 2 | 2 - 0 | უტრეხტი |
| ტვენტე | 1 - 5 | ფეიენოორდი |
| დღეს გაიმართება | | |
| გრააფსხაპი | ? - ? | ალკმაარი |
| ნაიმეგენი | ? - ? | როდა |

საფრანგეთის ჩემპიონატი
მეშვიდე ტური

| 14 სექტემბერი | | |
|---|---|---|
| მარსელი | 2 - 1 | ბორდო |
| გინგამი | 0 - 0 | ნიცა |
| ლენსი | 1 - 0 | რენი |
| მონპელიე | 1 - 0 | ლილი |
| ნანტი | 1 - 0 | ლიონი |
| პსჟ | 3 - 0 | სტრასბურგი |
| სედანი | 2 - 2 | მონაკო |
| სოშო | 1 - 1 | ოსერი |
| ტროა | 1 - 1 | ლე ავრი |
| დღეს გაიმართება | | |
| ბასტია | ? - ? | აიაჩო |

# „იბერუს კავკაზუს ჰაეროტიტიკუს ტემპერამენტუს!"

## მარიონეტების თეატრში რეზო გაბრიაძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

თამარ სუხიშვილი

**გუშინ, დღის 2 საათისთვის, ძველ თბილისში ორ ადგილას ირეოდა ხალხი – "კონკას" წინ და "კონკას" უკან (და ცოტა გვერდზე), "კონკას" წინ იმიტომ, რომ იქ ქორწინების სახლია და შაბათი დედაქალაქში, ჩვეულებრივ, ქორწილების დღეა, "ვერტიკალური და ბრუნვადი სიყვარულების" მოთვინიერების დღე. "კონკას" უკან კი მარიონეტების თეატრია, სადაც გუშინ, 14 სექტემბერს, რეზო გაბრიაძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.**

მარიონეტების პატარა თეატრთან ორი მოგრძო მაგიდა გაეშალათ – ქათქათა სუფრით და წითელი ღვინით. წითელი ღვინო შუშის თლილ ჭიქებში და პატარა თიხის დოქებში ესხა, დოქებს ზედ ინიციალები ეწერა – **რ.გ.**

სტუმრები, ძირითადად, ერთ ტრაექტორიაზე მოძრაობდნენ, ჯერ ნაცნობმეგობრებს ათვალიერებდნენ, მერე – აფიშას, რომელიც "ჩვენი გაზაფხულის შემოდგომის" პრემიერაზე გვეპატიჟება, მერე მომცრო ჯიხურში ყიდულობდნენ რეზო გაბრიაძის ერთ უცნობ ("ქუთაისი ქალაქია") და ერთს კიდევ უკვე კარგად ნაცნობ ("შერეკილები") წიგნს. აივლიდნენ ორიოდე საფეხურს და ჯერ კაფეში ხვდებოდნენ, კაფედან კი – თეატრის დარბაზში, სადაც სცენაზე წიგნის ავტორი და გამომცემლობა "სანის" წარმომადგენლები იდგნენ.

**"ვწერ, როცა დრო მაქვს, ვწერ მოგზაურობაში,** – ამბობს რეჟისორი, - **ლექსს ვერასოდეს ვერ ვწერდი, ერთხელ დავწერე ასეთი სტრიქონი: "გარეთ წვიმს და ყველაფერი..."** (იცინის), - და განაგრძობს: **"არაფერს ვამბობ ახალს. კარგად ვიცი, რომ ახალი არაფერია ამ ქვეყანაზე. მე მხოლოდ იმის სურვილი მქონდა, მომეყოლა, რასაც ვფიქრობ და რასაც განვიცდი."**

**"ქუთაისი ქალაქია"** – ასე ჰქვია რეზო გაბრიაძის ახალ წიგნს, ავტორი რატომღაც განმარტავს, ეს სათაური იმიტომ ავირჩიე, რომ ქუთაისი მართლა ქალაქიაო. წიგნი კომპაქტ-დისკის ბუდის ზომისაა, აგურისფრად შეფერილ გარეკანზე ტოტალიტარული ქვეყნის შვილები, პიონერული ასაკის აირწინაღებიანი მოსწავლეები მზადყოფნით შემართულან თავიანთ სამხედრო მასწავლებელ-ინსტრუქტორებთან ერთად. თითქოს ჰაერიც დანაწილებული აქვთ. ეს მწერლის ბავშვობაა, მძიმე და დაუვიწყარი. ყდის დიზაინი ლევან გაბრიაძეს ეკუთვნის. რაც შეეხება ყველასთვის კარგად ნაცნობ და საყვარელ "შერეკილებს", ეს წიგნი, ისევე როგორც წინა ორი გამოცემა ("უცხო ჩიტი" და "შერეკილები"), ავტორის ნახატებით არის გაფორმებული: **"შერეკილების" სამივე გამოცემა ერთი და იგივეა, თუმცა რაღაცეები ჩასწორებულია, ზუსტად აღარც მახსოვს. მაგრამ ამის მერე, მართალი გითხრათ, ხელს აღარ მოვკიდებ, ახალ წიგნზე კი გავაგრძელებ მუშაობას,"** – გვპირდება მწერალი.

რა არის საერთოდ პრეზენტაცია? – მხრებს იჩეჩავს რეზო გაბრიაძე, - იქ ჯერ მალმა (!) მოიტანა წითელი ღვინო, გავსინჯოთ, **მერე წავიკითხოთ** და **მერე ვილაპარაკოთო** (ეს დელიკატური მინიშნება ალბათ ოპერატიული ჟურნალისტების გასაგონად უფრო ნათქვამი).


რეზო გაბრიაძე
ბესო გულაშვილის ფოტო

ასე მთავრდება პრეზენტაცია, რომელიც ისევე არ ჰგავს ყოველდღიურ პრეზენტაციებს, როგორც რეზო გაბრიაძის სპექტაკლები სხვა სპექტაკლებს, როგორც მისი რეპეტიციები – ჩვეულებრივ რეპეტიციებს. რეპეტიციები აქ ტყუილუბრალოდ არ გვიხსენებია. როცა ბატონ რეზოს რეპეტიციაზე დასწრების ნებართვა ვთხოვეთ რეპორტაჟისათვის, უარი გვითხრა – ეს ხომ რეპეტიცია არ არის, ეს დურგლების და მღებავების შეკრებაა, როცა მსახიობები ვიღაც უცხოს დაინახავენ, მაშინვე თამაშს დაიწყებენო; სამზარეულო ისეთი რამეა, იქ რომ ჩაიხედავს ვინმე, მაშინვე რაღაც იდუმალება ეკარგებაო.

პრეზენტაციის დასასრულ რეჟისორის ხის მაგიდასთან ცოცხალი რიგი დგება – ავტოგრაფისათვის. ავტოგრაფიანი წიგნების პატრონები კი უკვე გზაშივე იწყებენ რეზო გაბრიაძის მცირე ზომის რომანის კითხვას, რომელიც მწერალმა თავის ბავშვობაზე, თავის მშობლიურ ქალაქზე დაწერა და რომელიც, როგორც თვითონ გვითხრა, შეიძლებოდა, რომ ფილმად ქცეულიყო, ფილმის დრო რომ იყოს.

*ერთ ადრინდელ ინტერვიუში რეზო გაბრიაძეს ჰკითხეს, წიგნებს რატომ არ გამოსცემთო. ტყეს ვუფრთხილდებიო – ასეთი პასუხი გასცა მწერალმა. ხომ არ ფიქრობს დღეს რეზო გაბრიაძე, რომ გასაფრთხილებელი აღარაფერი დარჩა?*

**"სამწუხაროდ, თქვენ მართალი ხართ და უმორჩილესად გთხოვთ ახალგაზრდებს, ითავეთ ეს საქმე, თქვენ უნდა იაროთ ტყეში, თქვენ უნდა დატკბეთ საქართველოთი. როგორც უფროსი მეგობარი გთხოვთ, მიხედეთ ტყეს...**

**რაც შეეხება ჩემს ხუმრობას (რომელიც ნაწილობრივ მართალია), როდესაც ჩემმა გამომცემელმა და მეგობარმა ზაზა ბერიშვილმა დამარწმუნა, რომ ეს წიგნები მეორად ქაღალდზე გამოიცემა, უფრო თამამად დავთანხმდი. კარგია, თუ ტყეს არ შევაწუხებთ ჩვენი წიგნებით და საქმიანობით."**

**"ეს წიგნი უპრეტენზიოდ, უამბიციოდ არის დაწერილი. იმედი მაქვს, რომ მკითხველი წაიკითხავს ამ წიგნს და თუ მოეწონება, ხომ კარგი, თუ არადა, მეც გავჩუმდები."**

მარიონეტების თეატრში გამართული პრეზენტაციის სტუმრები რაღაც ერთი ტრაექტორიით, მომცრო წიგნებში ერთნაირი ეშმაკური ღიმილით თავჩარგულები მიემართებოდნენ "კონკასკენ", თითქოს გასაფრენად მიდიანო, რა პუტინი, რის პუტინი! "იბერუს კავკაზუს ჰაეროტიტიკუს ტემპერამენტუს!.." ("შერეკილებიდან"), თავზე ადგათ სექტემბრის "ლურჯი, უძირო, სულისწამღები ცა – მამაზეციერის წამიერი საჩუქარი."

# ავთანდილ ვარსიმაშვილის ბილინგვალურ-პროვოკატორული თეატრი

## შტრიხები ორენოვანი რეჟისორის პორტრეტისათვის

ნოდარ კაკაბაძე

ავთანდილ ვარსიმაშვილმა თბილისში შექმნა "ბილინგვალური (ორენოვანი) მსახიობების" ინსტიტუტი; მისი მსახიობების ერთი მცირე ნაწილი ორენოვანია - ისინი თამაშობენ ორ თეატრში - რუსულენოვან გრიბოედოვის თეატრში და ქართულ "თავისუფალ თეატრში".

ტრადიციულად მიღებული იყო, რომ მსახიობებმა არ უნდა გაიფუჭონ თავიანთი რუსული "პრონონსი" და ამიტომ გრიბოედოვის თეატრის რუსული დასის მსახიობები შეგნებულად არ სწავლობდნენ ქართულ ენას, რომ რუსული (მოსკოვური) აქცენტი არ "დაემახინჯებიათ". მაგრამ ეს ცრურწმენა აღმოჩნდა: მაგალითად, ავთო ვარსიმაშვილის უაღრესად საინტერესო და ორიგინალური მსახიობი ნიკო გომელაური ამ მხრივ ერთნაირი წარმატებით თამაშობს როგორც რუსულ, ასევე ქართულ თეატრში, ასე რომ, ჩემი დაკვირვებით, აბსოლუტურად არ ვნებს თავის არც ქართულ, არც რუსულ მეტყველებას. იგივე ითქმის მომხიბლავ ირინა მეღვინეთუხუცესზე. მაგრამ, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ტენდენციაა, რაც თავის გაღრმავებასა და განვითარებას მომავალში გულისხმობს. ეს არის, ასე ვთქვათ, "ვარსიმაშვილის ეფექტი" ან "ვარსიმაშვილის ფენომენი", რაც, რამდენადაც შემიძლია მე ამაზე მსჯელობა, უნიკალური (ყოველ შემთხვევაში, იშვიათი) შემთხვევაა მსოფლიო თეატრის ისტორიაში (ცხადია, გამონაკლისები იყო და არის). რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა შექმნა სისტემური, სტაბილური ორენოვანი თეატრის ფენომენი, ანდა უკეთ: ერთიმეორის გვერდით პარალელურად დააფუძნა ორი სხვადასხვაენოვანი თეატრი. ეს შემთხვევითობამ განაპირობა თუ გარკვეული კანონზომიერებაა? ვარსიმაშვილი ქართველი რეჟისორი გახლავთ და მას, ბუნებრივია, ჰქონდეს ქართული სპექტაკლების შექმნის მოთხოვნილება. ამ რეჟისორს ბედმა დააკისრა რუსული თეატრის რეჟისორობა და მესვეურობა და ამავე დროს მან ისარგებლა შესაძლებლობით, რუსული თეატრის პარალელურად და გვერდით, ასე ვთქვათ, "ცარიელ ადგილზე" დაეარსებინა ახალი ქართული თეატრი, რომლის თანაარსებობა ძველ რუსულ, ფაქტობრივად განახლებულ თეატრთან ამ ორ თეატრს სძენს უჩვეულო სპეციფიკასა და მომხიბვლელობას და ახალი ნიუანსებით ამდიდრებს საერთოდ ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას. ეს ფაქტიურად ორი სხვადასხვა ცალკე თეატრია და ამავე დროს მაყურებლის ცნობიერებაში აღიქმება როგორც ერთი თეატრის ორი განსხვავებული წახნაგი.

... ავთო ვარსიმაშვილის ახალ სპექტაკლებში (ძირითადად იგულისხმება გრიბოედოვის თეატრისა და "თავისუფალი თეატრის" ისეთი წარმოდგენები, როგორიცაა "Russian ბლუზი", "კომედიანტები", "პროვოკაცია" და სხვები) ჩადებულია პროვოკაციულ-პროვოკატორული ნაღმი ამ სიტყვის კეთილშობილური, შემოქმედებითი, კრეატიულ-კრიტიკული გაგებით, რაც მაყურებელს შემოქმედებითი "აგრესიულობისა" და პროტესტისათვის განაწყობს და აღძრავს...

... მაგალითად ავიღოთ ანტიდრამატული-დრამატულ მოქმედებასა და მიზანსცენებს მოკლებული ჰულიგნურ-სკანდალური "პოლიტიკური შოუ" "პროვოკაცია", რომელიც "თავისუფალ თეატრში" იდგმება, სცენიურ მოქმედებას გამორიცხავს და მიზნად ისახავს ტრადიციული თეატრალური მოლოდინისა და ილუზიის გაქარწყლებას.

ძალაუნებურად "პროვოკაციამ" ცნობილი თანამედროვე ავსტრიელი მწერლის პეტერ ჰანდკეს ე.წ. "სათქმელი (სალაპარაკო) პიესა" (Sprechstuck), "მაყურებლის სათრეველა" (ანდა: "მაყურებლის გალანძღვა" - "Publikumsbeschimpfung") მოგვაგონა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ურთიერთგავლენა გამორიცხულია.

საერთოდ დრამატურგ პეტერ ჰანდკეს პიესათა შორის გამოყოფენ "სათქმელ (ან: სალაპარაკო) პიესებს" - ესენია სასცენო ტექსტები, რომლებშიაც არ არის მოქმედება და კონკრეტული ადგილის მითითება და რომლებიც უპირატესად ემყარებიან რიტმიკას და ენობრივ ორკესტრირებას: "მაყურებლის სათრეველა", ანდა: "მაყურებლის გალანძღვა"), "თვითმხილება" და "წინასწარმეტყველება" (ყველა ეს პიესა შეიქმნა 1966 წელს).

ობიექტურად ავთო ვარსიმაშვილის პიესა "პროვოკაცია" "მაყურებლის სათრეველას" და საერთოდ ჰანდკეს "სალაპარაკო პიესებს" უახლოვდება. საქართველოში "პროვოკაციის" სახით შექმნილია, შეიძლება ითქვას, ახალი ჟანრის პიესა და სპექტაკლი, რომელსაც, პირობითად, პეტერ ჰანდკეს პიესის ანალოგიით, შეიძლება ვუწოდოთ "მაყურებლის (პუბლიკუმის) სათრეველა" - ისინი ხომ ობიექტურად ნათესაური შინაარსისა და სულისკვეთების შემცველი ნაწარმოებებია. საინტერესოა, რომ ჰანდკეს ამ პიესასა და სპექტაკლზე დაწერილი რეცენზიები რეცენზენტებმა შემდეგნაირად დაასათაურეს (ეს სათაურები მშვენივრად "მოერგებოდა" ავთო ვარსიმაშვილის პიესასა და სპექტაკლსაც). ჰ. რიშბიტერმა თეატრალურ ჟურნალში "ტეატრ ჰოიტე" დაბეჭდა რეცენზია "თეატრი და მაყურებელი ახლებურად განსაზღვრული"; ვ. იგნეეს წერილის სათაური იყო: "მაყურებელი დარბაზიდან გააძევეთ!" ("Publikum raus!" - დაიბეჭდა "კრისტ უნთ ველტში"), ი. ნოიგროშელმა ამერიკულ ჟურნალში - "ამერიკულ-გერმანული რევიუ" გამოაქვეყნა წერილი - "თეატრი როგორც შეურაცხყოფა" და ა.შ.

როგორც უკვე ვთქვი, ავთო ვარსიმაშვილის პიესასა და სპექტაკლში - "პროვოკაცია" არ არის დრამატული მოქმედება, არ არის არც მიზანსცენები, ფაქტობრივად არ არის როლებიც - არიან მხოლოდ "მთქმელები", რომლებზეც გადანაწილებულია საავტორო ტექსტები - სულ სამი მთქმელია: ნიკო გომელაური, რამაზ იოსელიანი და სლავა ნათენაძე - ესენი ავტორის რუპორებს წარმოადგენენ.

პიესა და სპექტაკლი ჩვენი უბადრუკი სინამდვილისა და საზოგადოების ტოტალური ნეგაციაა აბსურდის თეატრის ზოგიერთი საშუალებისა და ხერხის გამოყენებით. ეს არის ჩვენი ობივატელური, მეშჩანური, ფილისტერული მაყურებლებისათვის სილის გაწვნა, მათი გემოვნების, ესთეტიკის, ჩვევების, ტრადიციების, ცხოვრების წესის რადიკალური უარყოფა. თვითონ მაყურებელი ცივშხაპგადასხმული რჩება. სპექტაკლი არ ეფერება, არ ესალბუნება, ენას არ უჩლიქავს მცონარა, ჩაკმაყოფილებულ, მოდუნებულ, მიძინებულ, მთვლემარე მაყურებელს - პირიქით, ცდილობს მის პროვოცირებას, შოკირებას, შეხურებას, შეჯანჯღარებას, აღშფოთებას, შეძვრას, მის ფუნდამენტურ, არსობრივ შერყევას, ჩაგონებას, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. სპექტაკლის მიზანია, მაყურებლებში ათეული წლობით დაგროვილი ცრურწმენების, სულიერი "შლაკების" გამოდევნა-გამოძევება, მათზე თავისებური ფსიქო-ანალიტიკური სამუშაოს ჩატარება, მრავალი გაუცნობიერებელი "ინსტინქტის", ზრახვის გაცნობიერება, ცნობიერში გადაყვანა და ამით ზოგიერთი "ნევროზისაგან" გათავისუფლება. ამდაგვარი სამუშაო ჩვენში ავთო ვარსიმაშვილამდე თითქმის არავის ჩაუტარებია. ამიტომ, ბუნებრივიცაა დამყაყებული, უმთავრესად ბიოლოგიურ ინსტინქტებს აყოლილი მაყურებლების გააფთრებული რეაგირება, უკიდურესი გაღიზიანება-გაცოფება. დამახასიათებელია, რომ ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლებზე, განსაკუთრებით "თავისუფალ თეატრში", უპირატესად ახალგაზრდობა დადის. კონსერვატორული, ძველი ტრადიციების ერთგული "ძველგაზრდობა" ძნელად ეწყობა და ეგუება მის სტილისტიკას, თეატრალურ ენასა და მის რეჟისორულ "გესტუსს". და უმთავრესად ასეთია ჩვენი "თეატრალური "ისტებლიშმენტი", რომელიც ყველაფერშიც და თეატრშიც status quo-ს შენარჩუნებისკენაა მიდრეკილი, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს მისი გაშმაგებული და ამავე დროს ისტერიული ბრძოლა ყოველგვარი სიახლის წინააღმდეგ. ავთო ვარსიმაშვილის ანტიდრამები, განსაკუთრებით მისი "პროვოკაცია", აშკარად აფეთქებს ძველ თეატრს, ტრადიციულ დრამას და, შეიძლება ითქვას, რომ ქმნის ახალ დრამატულ ფორმებს (აქ საგანგებოდ ვგულისხმობ "Russian ბლუზსა" და "პროვოკაციას").

თეატრი არ უნდა იყოს, როგორც ტრადიციულ, ძველმოდურ მაყურებლებსა და თეატრალებს წარმოუდგენიათ, დასვენების, მსუბუქი თავშექცევის, ნერვების ზედაპირული ღიტინის, "თბილი ატმოსფეროს" შექმნის ადგილი (თეატრი არ არის "კულტურისა და დასვენების პარკი"), არც განცხრომის, მიძინების, ჩათვლემის, მსუბუქი "კომფორტის" შექმნის შესაძლებლობა - პირიქით, თეატრმა უნდა შეაშფოთოს, დაძაბოს, შეაწუხოს მაყურებელი, გამოიწვიოს მასში გარკვეული დისკომფორტი, შეარცხვინოს, "გააბახოს" მაყურებელი, ჩამოუყალიბოს მას ახალი მსოფლმხედველობა, ჩაუსახოს ახალი იდეები, აზრები და ა.შ. თეატრმა არ უნდა უნანაოს მაყურებელს.

ჩვენი მაყურებლების უმეტესობისათვის თეატრი კულინარულ დონეზე განიხილება, როგორც საჭმლის მოხერხებული მონელების ადგილი. ერთი დარბაისელი მოყარაჩოღელო "ტიპი" ცოლს თეატრში წაყოლაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთანხმებოდა, თუ მას შეეძლებოდა, მაყურებელთა დარბაზში "პროვიზიის" შეტანა და თეატრალურ-ესთეტური "ტკბობის" პარალელურად, გასტრალურ-კულინარული სიამოვნების მიღება.

"პროვოკაციაში" თეატრის მაყურებელი მასხრადაა აგდებული მისი მომხმარებლური, კონსუმური ხასიათის გამო, იმის გამო, რომ იგი ყველაფერს როგორც საქონელს, როგორც ყიდვა-გაყიდვის საგანს უყურებს.

თეატრის მაყურებელი აქ გადაქცეულია პიესის თემად და სამიზნედ; ირონიზებულია მისი კლიშე-ფორმულირებები. თეატრი "შემდგარია", "ხდება", "ხორციელდება" არა სცენაზე, არამედ მაყურებელთა დარბაზში. ახალ თეატრალურ "ჯუნგლებში" რომ გაიარო, ამისათვის საჭიროა მაყურებლის გათავისუფლება ძველი კლიშეებისაგან, თეატრზე ძველი, დამყაყებული წარმოდგენებისა და ილუზიებისაგან.

"მთქმელები" უშუალოდ მიმართავენ მაყურებლებს, ახდენენ უშუალო "აპელაციას" პუბლიკუმზე; აგრესიულობენ მაყურებელთა მიმართ: კიცხავენ, უტევენ, ამუნათებენ, სინდისზე აგდებენ მათ, სცენა უტევს მაყურებელთა დარბაზს, პასუხს სთხოვს, ადანაშაულებს მას. ეს პიესა არის ანგარიშსწორება თეატრთან და თეატრის მაყურებლის ტიპთან. თეატრის მაყურებელი, უბრალოდ, მხოლოდ სცენის "მოქმედებაში" კი არ არის ჩაბმული პიესის ილუზიის გამქრობი "მთქმელების" მიერ, არამედ თვითონვეა ერთდროულად პიესის თემა და სამიზნეც.

ავთო ვარსიმაშვილი აქ ნიღაბს ხდის ჩვენ შარლატან პოლიტიკოსებსა და პოლიტიკანებს, პარლამენტარებსა და თვალთმაქც, ფარისეველ "საზოგადო მოღვაწეებს", რომლებიც ერთს ამბობენ, მეორეს ფიქრობენ, მესამეს აკეთებენ, მეოთხე - ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება და ა.შ., რომელთაც აქვთ ორმაგი სტანდარტები, შინაურული (საშინაო) და საგარეო ჭეშმარიტებანი.

რეჟისორი და ავტორი ავთო ვარსიმაშვილი რადიკალურია ჩვენი საზოგადოების მიმართ, იგი დაუნდობლად "უსწორდება" ჩვენი დღევანდელობის "ფასეულობებს", მოჩვენებით "ღირებულებებს", ყალბ "ღირსებებს".

ავთო ვარსიმაშვილი სიტყვიერად (არა მოქმედებით და ეს არის ე.წ. "სალაპარაკო პიესის" სპეციფიკა) გვიხასიათებს, ერთი გერმანულენოვანი მწერლის - ოდონ ფონ ჰორვატის რომანის სათაური რომ გამოვიყენოთ, "ულმერთო ახალგაზრდობას", საერთოდ, "ულმერთო საზოგადოებას", რომელსაც ჰყავს ყალბი კერპები, ანდა ამ კერპებს ნიღბებად იყენებს თავისი ნამდვილი ზრახვების შესანიღბად და დასაფარად.

ავთო ვარსიმაშვილი თავისი პიესებითა და სპექტაკლებით უცერემონიოდ არღვევს ჩვენი საზოგადოების ყოველგვარ ტაბუებს. ჩვენი საზოგადოების მორალური ყალბი, ცრუ "ღირებულებანი" რელატივირებული და გაუფასურებულია.

რეჟისორი ცდილობს, ახლებურად და განსხვავებულად წარმოაჩინოს და განსაზღვროს თეატრი და მაყურებელი. თეატრს იგი განიხილავს, განსაკუთრებით თავისი სპექტაკლის "პროვოკაციის" შესაბამისად, როგორც პროტესტის ერთ-ერთ ფორმას. როგორც უკვე აღვნიშნე, "პროვოკაციაში" არ შეინიშნება არავითარი მოქმედება, არის მხოლოდ პირდაპირი ტექსტი, რომელიც განაწილებულია სამ "მთქმელზე" - არავითარი ინტრიგა, არავითარი კვანძის შეკვრა, არავითარი დრამატული პერიპეტიები, არავითარი მიზანსცენები...

... ავთო ვარსიმაშვილის რეჟისორული სპეციფიკის ერთ-ერთი შტრიხი არის ლაკონიზმი, სცენაზე მოკლედ "თქმის" ხელოვნება. რეჟისორი "ხელმომჭირნეა" და ძუნწი თეატრალურ გამომსახველ საშუალებათა გამოყენებისას მისი თეატრალური გამომხატველობა შეკუმშული და ტევადია, კონცენტრირებული და კვინტესენციური - იგი ყველაფერს ბოლომდე არ ამბობს, "სათქმელს" თითქოს იტოვებს, რაღაც კიდევ მეტი იგულისხმება.

